

ჩარიტა ჯაში
მიხეილ თოქმაზიშვილი

გენდერული ბიუჯეტი:
გზა სოციალური თანასწორობისაკენ

ნაშრომი იბეჭდება გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის “გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში”, ფარგლებში.



თბილისი
2006

ნაშრომი ემსახურება საქართველოში ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელებასა და გენდერული ბიუჯეტის დანერგვისათვის საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებას. მასში დახასიათებულია გენდერული ბიუჯეტის თავისებურებები, მისი მეთოდები და პრინციპები; გადმოცემულია სხვადასხვა ქვეყანაში გენდერული ბიუჯეტის დანერგვის გამოცდილება და მნიშვნელობა; აღწერილია სოციალური სამართლიანობის გენდერული პრობლემები და დასახულია მათი გადაჭრის ინსტიტუციონალური მიმართულებები.

განკუთვნილია საკანონმდებლო და აღმასრულებელი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე გენდერული ეკონომიკითა და სახელმწიფო ფინანსებით დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების ფართო წრისათვის.

ავტორები: ჩარიტა ჯაში, მიხეილ თოქმაზიშვილი

რედაქტორი: - ვლადიმერ პაპაგა

რეცენზენტი: - მიხეილ ჯიბუტი

ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული კონსულტაციებისათვის და გამოთქმული შენიშვნებისათვის ავტორები მადლობას უხდებიან გაეროს განვითარების პროგრამის ანალიტიკოსს, ქალბატონ ნათია ჩერქეზიშვილს და გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის - “გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში” - კოორდინატორს, ქალბატონ ნინო ლაგვილაგას.

ISBN 99940-0-997-4

ჩარიტა ჯაში, მიხეილ თოქმაზიშვილი. გენდერული ბიუჯეტი: გზა სოციალური თანასწორობისაკენ. თბ., 2006.

რედაქტორისაგან

დემოკრატიულ განვითარებას ყოველი ქვეყნისათვის მოაქვს უმაღლესი კატეგორიის ფასეულობები, როგორცაა ადამიანის უფლებების უპირობო დაცვა, რესურსების ხელმისაწვდომობა ყველასათვის და თანასწორობა მიუხედავად რასისა, ასაკისა, სარწმუნოებისა და სქესისა. ამ ფასეულობების რეალიზაციაში დიდია სახელმწიფოს და განსაკუთრებით კი საბიუჯეტო ფინანსები როლი, რომელიც დღემდე ითვლება სოციალური თანასწორობის, მათ შორის გენდერული თანასწორობის ძირითად გარანტად.

საქართველო დიდ ხანი არ არის რაც დაადგა განვითარების დემოკრატიულ გზას. მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს სოციალურად სამართლიანი საზოგადოება და შექმნას ისეთი საფინანსო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველას თანასწორობას.

წინამდებარე ნაშრომი შეეხება ადამიანის უფლებების დაცვის საფინანსო მექანიზმს, შეიცავს დღემდე ჩვენთვის სრულიად უცხო მიდგომებს და არის იმის მცდელობა, რომ დაუმტკიცოს ხელისუფლებასა და კანონმდებლებს, თუ რატომ არის საჭირო გენდერული კატეგორიებით აზროვნება მაკროეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას და რა შედეგები ექნება მას საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსათვის იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში მოხდება გენდერული ტექნოლოგიებით სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზი.

უნდა ვადიაროთ, რომ დღემდე საქართველოს სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკის გაცნობიერება არ ხდებოდა გენდერულ ასპექტში. საქართველოში ეს არის ყამირი მიწა, რომელიც უნდა იქნეს ათვისებული. ვფიქრობთ, რომ ამ საკითხებზე ნამდვილად ღირს ყურადღების გამახვილება. გენდერული ეკონომიკა უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოების მსჯელობის საგანი.

ვლადიმერ პაპავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
საქართველოს პარლამენტის წევრი

28 მარტი, 2006 წელი

შინაარსი

შესავალი

1. რა არის გენდერი და გენდერული თანასწორობა?
2. რა არის გენდერული ბიუჯეტი?
3. რას ნიშნავს ბიუჯეტის გენდერული ანალიზი?
4. რატომ გახდა საჭირო გენდერული ბიუჯეტის შემოღება?
5. რა მნიშვნელობა აქვს გენდერულ ბიუჯეტს?
6. რა არის საჭირო გენდერული ბიუჯეტის დასანერგად?
7. როგორი გვინდა რომ იყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი?

დანართი:

აუნაზღაურებელი შრომა: საერთაშორისო გამოცდილება.

გენდერული ბიუჯეტის ფორმირების საერთაშორისო გამოცდილება.

შემაჯავლი

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ განვლო რთული პერიოდი. საბჭოთა სისტემის რღვევას თავდაპირველად მოყვა ეთნოკონფლიქტები და სამოქალაქო ომი. ქვეყანაში მკვეთრად გაუარესდა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა. ძირეულად შეიცვალა ქვეყნის მდგომარეობა, დაიწერა ცენტრალურად რეგულირებადი ეკონომიკის სისტემა. საქართველო დაადგა საბაზრო ეკონომიკისაკენ ტრანსფორმაციის გზას, რომელიც მეტად მტკივნეულად აისახა მოსახლეობის ცხოვრებაზე. სიღარიბე გახდა ყველაზე მწვავე, გადაულახავი პრობლემა, რომელმაც შეცვალა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გარემო და განსხვავებული დადი დაასვა ქალისა და მამაკაცის მდგომარეობას.

საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში ხელისუფლების მიერ დაშვებული იქნა მრავალი შეცდომა. ამის შედეგად შეიქმნა ბარიერი ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ხელისუფლება გაუცხოვდა საზოგადოებისაგან. მრავალი მომსახურება და საქონელი, რომელსაც ადრე სახელმწიფო აწარმოებდა, ასევე მთლიანი სოციალური ინფასტრუქტურა, ვერ განვითარდა. საზოგადოებამ ვერ მიიღო შესაბამისი ინსტიტუციური ძალაუფლება, რათა განეხორციელებინა კონტროლი ქვეყანაში არსებულ რესურსებზე და სოციალურ სფეროზე. ყოველივე ამან ნეგატიური გავლენა მოახდინა მოსახლეობის დაუცველ ფენებზე, განსაკუთრებით ქალებზე. ამასთან, საზოგადოებას არ გააჩნდა შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მართვისა. მას არ შეეძლო სათანადო მონიტორინგი ეწარმოებინა იმაზე, თუ როგორ იხარჯებოდა სახელმწიფო ფინანსები. მთავრობასა და ხალხს შორის სოციალური თანხმობის არარსებობა კიდევ უფრო აბრკოლებდა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას.

ხელისუფლების რეგულაციური ცვლილებების შემდეგ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებას მიეცა შესაძლებლობა მნიშვნელოვანი გარდაქმნები შეეტანა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში. საზოგადოების მხარდაჭერითა და მანდატით ქვეყანაში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო რადიკალური რეფორმები, რომლის ერთ-ერთი ნაწილი გახდა სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის განმტკიცება, საინვესტიციო გარემოს ლიბერალიზაცია, გენდერული და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა და სხვა.

გენდერი არის სოციალური კატეგორია. ჩვენ ვიბადებით და ვცხოვრობთ გენდერული იდენტიფიკაციით. ეს თავის მხრივ დაკავშირებულია ჩვენს სოციალურ ორიენტაციასთან, იმასთან, თუ ქალი და კაცი როგორ იქცევა და რას მოეწონება სოციალური და ეკონომიკური განვითარებიდან. თითოეულ ჩვენთაგანს, ქალსა და კაცს აქვს განსხვავებული ინტერესი და მთავრობის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გადაწყვეტილებები განსხვავებულად ზემოქმედებენ მათ მდგომარეობაზე.

როგორც მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება ხდება გენდერული ინტერესების გათვალისწინების გარეშე, მაშინ მან შეიძლება გააღრმავოს უთანასწორობა ქალსა და კაცს შორის. ეკონომიკის დაგეგმვისას გენდერული ასპექტების გამოყენება დაგეგმვარება იმის გარკვევაში, თუ რამდენად ეფექტურია ეკონომიკური პოლიტიკა, როგორ ზემოქმედებს იგი ქალისა და კაცის მდგომარეობასა და მათ როლზე საზოგადოებაში.

გენდერული პერსპექტივა ხდება მაკროეკონომიკის აუცილებელი ფაქტორი. დღემდე არ ხდებოდა შრომის ბაზრის ანალიზი იმის გათვალისწინებით, თუ შინამეურნეობებში ოჯახის წევრები რამდენად მონაწილეობენ ზრუნვის ეკონომიკაში. დღემდე შრომის ბუნებრივი დანაწილების საფუძველზე განიხილებოდა ქალის და კაცის შრომითი უნარის განსხვავება და ამ ასპექტით ხდებოდა მათ თანასწორობის შეფასება.

ამჟამად თანასწორობა განიხილება არა მარტო სოციალური ან სამართლებრივი ურთიერთობების საგნად, არამედ ეკონომიკურ კატეგორიადაც. ამ თვალსაზრისით გენდერული ბიუჯეტი გვეუბნება, თუ როგორ ხდება თანხების ფორმირება და განაწილება, რა ზეგავლენას ახდენს იგი ქალისა და კაცის სოციალურ სტატუსზე. ასეთი ანალიზი კი აუცილებელია არა მარტო ცენტრალური ბიუჯეტის მიმართ, არამედ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის დონეზეც.

გენდერული ბიუჯეტი ეხმარება სამოქალაქო საზოგადოებას გაუწიოს კონტროლი ხელისუფლებას მის ყველა დონეზე და გამოავლინოს პრობლემები, რომელსაც საზოგადოება დღემდე არ აქცევდა ყურადღებას.

და ბოლოს უნდა ითქვას, რომ ქვეყანა მაშინ აღწევს წარმატებებს, როდესაც ხელისუფლების საქმიანობა უშუალოდ დამოკიდებული ხდება სამოქალაქო საზოგადოების ნებაზე. გენდერული ბიუჯეტი არის საზოგადოების ნება, რომელსაც იგი ხელისუფლებასთან ერთად ახორციელებს დემოკრატიის დასაწინააღმდეგებლად და სოციალური თანასწორობის მისაღწევად.

1. რა არის გენდერი და გენდერული თანასწორობა?

ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც ისტორიულად უფრო მეტ შესაძლებლობას უქმნის მამაკაცს. ეს პატრიარქალური დამოკიდებულება დღესაც დომინირებს. მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა გენდერული თანასწორობის საკითხი მეტად მწვავედ დააყენა დღის წესრიგში.

ტერმინი «გენდერი» ეხება საზოგადოებაში ტრადიციულად გავრცელებულ სოციალურ განსხვავებასა და ურთიერთობებს მამაკაცებსა და ქალებს შორის. გენდერის შესწავლის ძირითადი ამოცანაა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების განსხვავებულობის ასახვა და ძალაუფლების გავლენის განსაზღვრა საზოგადოებაში, რომელიც გამყარებულია გენდერული როლებითა და ურთიერთობებით.

შეუძლებელია შექმნა ჰარმონიზირებული საზოგადოება თუ თანაბარი შესაძლებლობები არ ექნა საზოგადოების ყველა წევრს განურჩევლად სქესისა. ეს ასპექტები პოლიტიკაში გენდერული მეინსტრიმინგის /მიდგომის/ სახელწოდებით არის ცნობილი.

გენდერული მეინსტრიმინგი გულისხმობს პოლიტიკის რეორგანიზაციას, გაუმჯობესებას, განვითარებას და შეფასებას გენდერული თანასწორობის პერსპექტივით. იგი მიმართულია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვისაკენ მმართველობის ყველა დონესა და ეტაპზე ჩართული ყველა მონაწილის მიერ.

გლობალიზაციის თანმდეგმა პროცესებმა კიდევ უფრო გააღრმავა გენდერული უთანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის ძალაუფლებისა და ქვეყანაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობის მიმართ. წარმოიშვა

გენდერული დისბალანსი, განსაკუთრებით შრომის ბაზარზე და გაღრმავდა გენდერული სეგრეგაცია.

გენდერული სეგრეგაცია განისაზღვრება სხვადასხვა პროფესიის მიხედვით ქალისა და მამაკაცის შრომის ასიმეტრიული დანაწილებით. კორიზონტალური სეგრეგაცია ძირითადად პროფესიულ ჯგუფებშია გამოხატული, ვერტიკალური კი – ერთი და იგივე პროფესიის ჯგუფებში თანამდებობრივი თვალსაზრისით.

გენდერული სეგრეგაცია, როგორც ვერტიკალური, ასევე კორიზონტალური, არათანაბარ პირობებში აყენებს ქალს საზოგადოებაში. მისი სოციალური სტატუსი მლიანად დამოკიდებულია ძალუფლებისა და ფინანსური ბერკეტების ერთობლიობაზე. ადვილად დასანახია ვინ უფრო დაუცველია საზოგადოებაში.

ქალები უმეტესად მიეკუთვნებიან იმ სოციალურ ფენას, რომელსაც ნაკლები ანაზღაურება და ხელმისაწვდომობა გააჩნია რესურსების განკარგვასა და კონტროლზე. ისინი შეადგენენ უფრო დიდი რისკის ჯგუფს და გაცილებით დაუცველნი არიან სიღარიბის, ძალადობის, უსაფრთხოების თვალსაზრისით.

დღეს საკამათო არ არის, რომ გენდერული თანასწორობა ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობისა და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. გენდერული ბიუჯეტის განხორციელება კი კონკრეტული ნაბიჯი იქნება ამ მიზნის მისაღწევად.

2. რა არის გენდერული ბიუჯეტი?

გენდერული ბიუჯეტი არის სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი და გულისხმობს გენდერული მიდგომის (მეინსტრიმინგის) განხორციელებას საბიუჯეტი პროცესში.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის მაკროეკონომიკის რეგულირების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იგი ასახავს, თუ რა შემოსავალს ველით და რა დანახარჯები იქნება წარმართული სხვადასხვა პროგრამებზე და სახელმწიფო ღონისძიებებზე.

საერთაშორისო ლიტერატურაში გენდერული ბიუჯეტი დახასიათებულია სხვადასხვა თვალსაზრისით¹:

¹ იხ. ნ. ჯაში გენდერული ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2005; Практическое Руководство по Внедрению Гендерных Подходов. Авт. Астрид Ниеманис. Братислава, 2005; Гендерные Бюджеты. Пособие для тренеров. Программа развития ООН. Братислава. 2005. Авторский текст: Дебби Бадлендер. Пер. с Англ. языка; Ржаницына Л. Гендерный бюджет, Вопросы Экономики, Москва, 2003; Gender Budget, Training Manual, District Level, Forum For Women in Democracy, Kamapla, 2004. Budlender, D., Sharp, R. and Allen, K., 1998, How to do a Gender-Sensitive Budget Analysis: http://www.thecommonwealth.org/gender/publications/gms_pdf/AusAIDr.pdf; Elson D. Gender Budget initiative, 1999, background paper, London: Commonwealth Secretariat (<http://www.thecomonwealth.org/gender>); Elson D., Gender Budget Initiatives, Background Paper, Commonwealth Secretariat, 1999; Hazel Reeves and Charlie Sever, 2003, Gender and Budget. Supporting resources Collection, BRIDGE, London: Institute of Development Studies; Karen Judd (ed.), 2002, Gender Budget Initiatives: strategies, concepts and Experiences, New York: UNIFEM; Gender Budgeting and Initiatives in Serbia. By Tatjana Djuric Kuzmanoic, Ph.D. Advanced Business School. Serbia, Globalizacija. Com. Journal For Political and Research on Globalization, Development and Gender Issues; Gdansk Gender Budget Initiative. By Katarzyna Balandynowicz – Panfil Urzula Opaska. New-Polska.2005.; Jacobson J., Economic of Gender, Cambridge, 1996; Sharp, R. Budgeting For Equity, Gender Budget Initiatives within a framework of performance based budgeting, UNIFEM, NY, 2003.

გენდერული ბიუჯეტი გენდერული სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება და პოლიტიკური დეკლარაციაა, რომელიც ასახავს ეკონომიკურ და სოციალურ პრიორიტეტებს, უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული რესურსების განაწილებას გენდერულად დიფერენცირებული პრინციპით და ემსახურება გენდერული თანასწორობის განხორციელებას სახელმწიფო ფინანსების წარმოქმნასა და განაწილებაში.

იგი თანამედროვე სოციალური ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას იძლევა დაინერგოს სამთავრობო პოლიტიკაში ინტერესთა დიფერენცირებადი აღრიცხვის პრინციპი სოციალურ-სქესობრივი ნიშნის მიხედვით.

ამასთან, გენდერულ ბიუჯეტი არის თვითმმართველობის კონტროლის ინსტრუმენტი და იმის საშუალება, რომ ფინანსები დაიხარჯოს ქალისა და მამაკაცის საჭიროებებზე. იგი ეხმარება საზოგადოებას შექმნას თანაბარი პირობები ყველასათვის და ავალდებულებს ხელისუფლებას შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომელიც საზოგადოებას შეპირად არჩევნებამდე.

გენდერულ ბიუჯეტს სხვანაირად უწოდებენ გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტს, ქალის ბიუჯეტს, გენდერულად პასუხისმგებელ ბიუჯეტს და სხვ. ტერმინები – გენდერული ბიუჯეტი, გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტი (Gender Sensitive Budget) და გენდერულად ორიენტირებული ბიუჯეტი (Gender Responcive Budget) ერთსა და იმავეს გულისხმობს.

გენდერული ბიუჯეტი:

- მოიცავს მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების გეგმას და ასახავს სახელმწიფო სახსრების განაწილებისა და მოხმარების თანაფარდობას გენდერული პარამეტრებით, რაც შემდგომში განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის როლსა და ადგილს საზოგადოებასა და ეკონომიკის განვითარების პროცესებში;
- გამოხატავს სახელმწიფო ვალდებულებებსა /CEDAW, ILO/ და სახელმწიფო ფინანსების განაწილებას შორის კავშირს გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით;
- ავლენს ქალისა და კაცის მდგომარეობაზე სახელმწიფო ფინანსების ზეგავლენას, აგრეთვე იმ გარდაქმნების განხორციელების აუცილებლობას, რომელიც ემსახურება გენდერული თანასწორობის მიღწევას.
- გულისხმობს გენდერულ მოთხოვნების დიფერენციაციის აღიარებას და არკვევს იმას, თუ სად არის ჩავარდნები, გენდერული დისბალანსი და უთანასწორობა.
- მოითხოვს შემოსავლებისა და ხარჯების რესტრუქტურისა და გენდერული თანასწორობის განსახორციელებლად.
- არის იმის პირობა, რომ თვალნათელი და ტრანსფარენტული გახდეს ფინანსების ხარჯვა.
- უზრუნველყოფს გენდერული ცნობიერების დამკვიდრებას ცხოვრების ცალკეულ სეგმენტებში და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების ბიუჯეტებში.
- მოითხოვს ბიუჯეტის შეფასებას გენდერული პერსპექტივით საბიუჯეტო პროცესის ყველა დონეზე.

მიხნეულია, რომ გენდერული ბიუჯეტი არ გულისხმობს ცალკე მამაკაცისა და ცალკე ქალის ბიუჯეტის ფორმირებას. ის არ არის სპეციალურად მიმართული მამაკაცზე ან ქალზე და არ მოითხოვს სპეციალურად ქალების პროგრამებზე ხარჯების ზრდას. ეს არის ბიუჯეტი, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოებაში სოციალური ბალანსის დამყარებაზე ფინანსების ეფექტური განაწილების გზით.²

იმისათვის, რომ დამყარდეს გენდერული ბალანსი, სახელმწიფო პროგრამები და ფინანსები უნდა მიემართოს ამ დისბალანსის გამოსასწორებლად. თუ სახელმწიფო რესურსები არ იქნება მიმართული გენდერულად მგრძობიარე გეგმებისაკენ და პროგრამებისაკენ, შეუძლებელი იქნება სოციალური თანასწორობის დამყარება ქვეყანაში.

მიღებულია, რომ სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა არის გენდერულად «ნეიტრალური» ან «ბრმა», რადგან დღემდე არსებული ტრადიციული პოლიტიკა გულისხმობს ქვეყნის მატერიალური, ფინანსური და ადამიანისეული რესურსების განაწილებას არამიზანმიმართულად, ყველასთვის, თუმცა, ცნობილია, რომ ქალები სახელმწიფო პროგრამებისაგან დებულობენ გაცილებით ნაკლებ სარგებლობას, ვიდრე მამაკაცები. ეს რეალობა ყველა ქვეყანაში არის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების განსხვავების საფუძველი.³

გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტი ავლენს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა მოთხოვნებსა და ინტერესებს და არის ორიენტირებული მათ განხორციელებაზე.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ როგორ ანაწილებს სახელმწიფო საზოგადოების თითოეული წევრის კუთვნილ ფინანსურ სახსრებს, რამდენს ხარჯავს ქალებზე ან კაცებზე, თუ როგორ ნაწილდება რესურსები ქალებსა და ბავშვებზე. მთავრობამ უნდა განავითაროს თავისი ქვეყნის ბიუჯეტი, განსაზღვროს საბიუჯეტო ხარჯები და შემოსავლები უშუალოდ ბენეფიციარების მოთხოვნების შესაბამისად, რაც სოციალური სამართლიანობის უფრო მაღალი ხარისხით განხორციელებას გულისხმობს.

3. რას ნიშნავს ბიუჯეტის გენდერული ანალიზი?

გენდერული ბიუჯეტის დანერგვის წინაპირობაა სახელმწიფო ფინანსების ანალიზი გენდერული თანასწორობის პერსპექტივით, ხარჯების შედეგების განსაზღვრა იმის მიხედვით, თუ რას ნიშნავს იგი ქალისათვის და მამაკაცისათვის, როგორ მოქმედებს სახელმწიფო ფინანსები მათ ცხოვრებაზე. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ხარჯები განსხვავებულად

² ხშირად ისეთი ბიუჯეტიც კი, რომელიც 50/50 არის განაწილებული, არ არის სამართლიანი, რადგან განსხვავებულია ქალთა და მამაკაცთა ცხოვრების პირობები და მოთხოვნები. მაგალითად, ჯანდაცვის სფეროში, ქალის რეპროდუქციული უნარი მისი ჯანმრთელობისთვის დამატებითი ხარჯების გაწევას მოითხოვს. გენდერული ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს ამ თავისებურებებს. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აუნაზღაურებელი შრომის წილს, რომელსაც საზოგადოებაში ძირითადად ქალები ასრულებენ. აუნაზღაურებელი შრომა (მაგალითად, საოჯახო საქმე, ზრუნვა შვილებსა და სხვა ოჯახის წევრებზე) განსაკუთრებით ხაზს უსვამს საზოგადოებაში გენდერულ უთანასწორობას.

³ ამის პირობაა ქალებისა და კაცების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის განსხვავება, რომელიც აისახება მათ შემოსავლებში, ქალებისათვის ნაკლებ შესაძლებლობებში შრომის ბაზარზე თანამდებობრივი წინსვლისათვის, პროფესიული კარიერის კეთებისათვის და სხვ.

მოქმედებენ ქალისა და მამაკაცის მდგომარეობაზე, მათ სოციალურ როლზე. ამ ხარჯების განაწილებას სხვადასხვა შედეგი მოაქვს მათთვის პერსპექტივაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო შემოსავლები და ხარჯები ყოველთვის არის გენდერული და მას აქვს მრავალფეროვანი ასპექტი, რომელიც უნდა გაანალიზდეს გენდერული თვალსაზრისით.

გარდა ამისა, ბიუჯეტი არის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ბერკეტი, რომელიც ასახავს, თუ როგორ განაწილდეს სახსრები დასახული მიზნების განსახორციელებლად. იგი მოითხოვს შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებას. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები შეიძლება იყოს ეკონომიკის ზრდა, უმუშევრობის შემცირება, ფასების სტაბილიზაცია და ა.შ., ხოლო მისი განხორციელების ინსტრუმენტებია მონეტარული პოლიტიკა, ფისკალური პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და ინსტრუმენტები არიან ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. ერთი მიზნის განხორციელება სხვადასხვა პერიოდში ხდება მეორე მიზნის ხარჯზე და მის საწინააღმდეგოდ. ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ცნობილი პრობლემა წყდება პრიორიტეტების განსაზღვრით და ამის შესაბამისად სახელმწიფო ფინანსური რესურსების გამოყოფით. სახელმწიფო ბიუჯეტში აისახება სახსრების განაწილება, შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილება და ეკონომიკის სტაბილიზაციის ფინანსური წყაროები. როგორც გამოცდილება აჩვენებს, გენდერულად ნეიტრალური ეკონომიკური პოლიტიკა, მისი მიზნები და ინსტრუმენტები ვერ ქმნის სოციალური თანასწორობის რეალურ საფუძველს.

გენდერული ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი არის გენდერული ურთიერთობების რეპროდუქციისა და გენდერული უთანასწორობის გარდაქმნის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მიზანია გენდერული თვალსაზრისით სახელმწიფო ფინანსების სამართლიანად განაწილებისათვის ხელშეწყობა ნაციონალურ და რეგიონალურ დონეზე, ნაკლოვანებების გამოვლენა პოლიტიკურ პროგრამებსა და იმ რესურსებს შორის, რომელიც მიმართულია ამ პროგრამების განსახორციელებლად და სამოქალაქო საზოგადოების გავლენის გაზრდა საფინანსო პოლიტიკის იმ პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში, რომლის ბენეფიციარები არიან ქალები და მამაკაცები და ყველა ის, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება.

ბიუჯეტის ანალიზი

- არის იმის საშუალება, რომ გავარკვიოთ, თუ რამდენად შეასრულა ხელისუფლებამ თავისი ვალდებულება, თუ როგორ ნაწილდება და სად იხარჯება სახელმწიფო ფინანსები;
- არის ქალისა და მამაკაცის განსხვავებული ინტერესებისა და მოთხოვნების განხორციელების გზა, მათთვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობა;
- მოითხოვს განსხვავებული ინსტრუმენტებისა და მიდგომების გამოყენებას, რომლის მეშვეობით მოხდება საზოგადოებასა და ეკონომიკაში გენდერული ურთიერთობების გამოვლენა და სახელმწიფო ბიუჯეტის ზეგავლენის შეფასება მამაკაცისა და ქალის ჯგუფების საქმიანობაზე და ცხოვრებაზე;
- ემყარება ინფორმაციას მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის გენდერული მგრძობიარობის შესახებ.

გენდერული ბიუჯეტის ანალიზი არ არის მიმართული ხელისუფლების საწინააღმდეგო ქმედებისაკენ. იგი:

- გვინვინებს საფინანსო პასუხისმგებლობას ეროვნული ეკონომიკის განვითარებასა (ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის შემცირება, ინვესტირება, და ა.შ.) და გენდერულ თანასწორობას შორის, იმას შორის, თუ რამდენად თანასწორი პირობები აქვთ ქალსა და მამაკაცს სახსრებისა და სხვა რესურსების კონტროლსა და მიღებაში;
- მოითხოვს სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების დანაწევრებასა და მათი ზემოქმედების შესწავლას ქალსა და კაცზე;
- ავლენს იმ სფეროებს, სადაც მთავრობის პოლიტიკას აქვს ჩავარდნები. საზოგადოებრივი მოხმარების ყველა ფორმაში გენდერული სხვაობის არსებობის მიზეზისა და შედეგების იდენტიფიკაციის გზით ესმარება მთავრობას იმის დადგენაში, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს პოლიტიკის ეფექტიანობა;
- ორიენტირებულია გენდერულ თანასწორობის სტრატეგიაზე. იმისათვის, რომ საზოგადოებაში აღმოფხვრას სოციალური უთანასწორობა, მოითხოვს ხელისუფლებისაგან აღიაროს იგი როგორც სახელმწიფოს საერთო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი;
- არის გზა იმისა, რომ ნათელი გახდეს ხელსუფლებისათვის, თუ როგორ უნდა შეიცვალოს პოლიტიკა და როგორ უნდა გადანაწილდეს და გამოიყოს რესურსები იმისათვის, რომ საზოგადოებაში დამყარდეს სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა;
- არის ხელისუფლების პასუხისმგებლობის ამდლების მეთოდი გენდერული თანასწორობისა და ქალების უფლებების დაცვის სფეროში;
- არის დემონსტრირება იმისა, თუ მთავრობა როგორ რეაგირებს გენდერულ საჭიროებებზე, ქალების ცალკეულ მოთხოვნებზე ჯანდაცვის, განათლებისა და დასაქმების სფეროებში;
- არის მექანიზმი იმისა, რომ მთავრობა იყოს პასუხისმგებელი თავის ვალდებულებებზე გენდერული თანასწორობის, ქალების უფლებების დაცვის სფეროში, ქალებთან მიმართებაში ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის განხორციელებაში.⁴

სწორედ ამიტომ არის საჭირო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი იქნეს ჩართული ბიუჯეტის ფორმირების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში.

4. რატომ ბახდა საჭირო გენდერული ბიუჯეტის შემოღება?

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომლებიც განმარტავენ გენდერული ბიუჯეტის დანერგვის აუცილებლობას როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე საქართველოში:

1. საერთაშორისო ვალდებულება. 1995 წელს პეკინის კონფერენციაზე მიღებული იქნა მოქმედების პლატფორმა,⁵ რომელიც ქვეყნის მთავრობებს მოუწოდებს გამოიყენოს ყველა ზომა იმისათვის, რომ სისტემატურად მოხდეს

⁴ კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ / CEDAW/ მიღებული იქნა 1979 წელს. საქართველო ამ კონვენციას შეუერთდა 1994 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ ორჯერ იქნა წარდგენილი მოხსენება ამ ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

⁵ [Http://www.un.org/womenwatch/confer/beijinh/national/natplans/htm](http://www.un.org/womenwatch/confer/beijinh/national/natplans/htm)

სახელმწიფო ბიუჯეტის მამაკაცზე და ქალზე ზემოქმედების გამოკვლევა, გენდერული პერსპექტივა ინტეგრირებული იქნეს მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში და საბიუჯეტო პროცესში. ამასთან, ამ კონფერენციაზე მიღებულმა რეკომენდაციებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ქალების ყველა სახის დისკრმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო დონეზე.

- **ათასწლეულის განვითარების მიზნები.** გენდერული ბიუჯეტის დანერგვა გათვალისწინებულია ათასწლეულის განვითარების მიზნებით.

2000 წლის სექტემბერში 191 ქვეყნის მთვრობის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღეს ათასწლეულის დეკლარაცია. ამ დეკლარაციას საფუძვლად დაედო 8 ძირითადი მიზანი, რომელთა განხორციელებაც უნდა გახდეს როგორც ცალკეული ქვეყნის, ისე საერთაშორისო დონეზე მდგრადი განვითარების გარანტია. ეს მიზნებია: 1. უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა; 2. უნივერსალური პირველადი განათლების მიღწევა; 3. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა უფლებამოსილების გაძლიერება; 4. ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; 5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება; 6. შიდსის, მალარიასა და სხვა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა; 7. მდგრადი ეკოლოგიური გარემოს დაცვა; 8. განვითარებისთვის გლობალური პარტნიორობის გაღრმავება.

ათასწლეულის მესამე მიზანი უშუალოდ გენდერულ თანასწორობას ეხება, და მესუთე მიზანი კი კონკრეტულად ქალებსა და მათ რეპროდუქციულ უნარს უკავშირდება. ამასთან, გენდერული ასპექტი გათვალისწინებულია ყველა დანარჩენ მიზანშიც. ამის გარეშე, გენდერული თანასწორობის მიღწევა და მიზნების განხორციელება შეუძლებელი იქნება, რადგან, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალია.

ათასწლეულის დეკლარაციის შესაბამისად უნდა შეფასდეს ქვეყნებში ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი 2015 წლამდე ყოველწლიურად გააკეთებს ანგარიშს ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის შესახებ. დეკლარაციის მონაწილე ქვეყნებიც ვალდებული არიან გააკეთონ ყოველწლიური ანგარიში მათ ქვეყანაში ამ მიზნების განხორციელების შესახებ.

დღეს ათასწლეულის განვითარების მიზნები მრავალ ქვეყანაში პოლიტიკის ძირითად ღერძად იქცა. გენდერული ბიუჯეტის ინიციატივები რვავე მიზნის მიხედვით უნდა განხორციელდეს. 2004 წელს საქართველომაც დაამტკიცა ათასწლეულის მიზნები და ამოცანების კონცეფცია.

- საქართველოში განვითარებული თანამედროვე დემოკრატიული პროცესები და თანასწორობის გლობალური კონცეფცია მოითხოვს ხელისუფლების ყურადღებას გენდერულ საკითხებზე და მასზე ორიენტაციას თავის საქმიანობაში. საქართველოს მთავრობამ გამოთქვა სრული მზადყოფნა ამ მიმართულებით საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად. ეროვნული ინსტიტუციონალური მექანიზმის ეფექტური ამოქმედების უზრუნველსაყოფად პარლამენტში შეიქმნა **გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო**, რომელსაც ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე, აღამასრულებელ ხელისუფლებაში ჩამოყალიბდა **სახელმწიფო კომისია გენდერული თანასწორობის საკითხებზე**. აღნიშნულმა ინსტიტუტებმა უნდა მოახდინონ გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის კოორდინირება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2004 წლიდან საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამა და შვეციის განვითარების სააგენტო ერთობლივად ახორციელებს რეგიონალურ პროექტს „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“, რომლის მთავარ ამოცანას

წარმოადგენს ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა როგორც საკანონმდებლო, ასევე მმართველობის ყველა დონეზე. პროექტის საქმიანობის ახალი მიმართულებაა გენდერული ბიუჯეტის ინტეგრირება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში.

- გენდერული საქმიანობის გასაძლიერებლად საჭირო გახდა კონკრეტული ღონისძიებების წარმართვა, რომლის ერთ-ერთი ასპექტია გენდერული ბიუჯეტის დანერგვა პრაქტიკაში. იგი არის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მთელი სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნა, რომელიც აისახება როგორც გლობალური განვითარების საერთაშორისო მიმართულებებში, ასევე საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად გადაქცევის აუცილებლობაში.

2. ნეოლიბერალური პოლიტიკა და გლობალური განვითარების წინააღმდეგობები.

1970–იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ფართოდ დანერგვა და განმტკიცება საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე, თავდაპირველად განვითარებულ და შემდეგ კი განვითარებად ქვეყნებში. ეს პოლიტიკა ეფუძნებოდა ფინანსების განაწილების ეფექტიანობის ზრდის აუცილებლობას. ამ პოლიტიკის განხორციელების პარალელურად განვითარდა და გაღრმავდა უთანასწორობა როგორც ქვეყნების შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის.⁶ სოციალური მიზნების განხორციელება და საერთაშორისო ფინანსების ეფექტიანობის ზრდა ურთიერთსაპირისპირო ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა და კიდევ უფრო მეკეთრად ერთმანეთის ალტერნატივას წარმოადგენდნენ. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი თანდათანობით ბაზარმა მიიღო. ქვეყნებში განვითარდა უთანასწორობა, გაღრმავდა სოციალური დიფერენციაცია, შინამეურნეობების ნაწილმა დაიწყო არსებობა რამდენიმე შემოსავლის წყაროს იმედად, რომელსაც ისინი იღებდნენ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებიდან, მათ შორის კვების პროდუქტების წარმოებიდან შინამეურნეობებში, მზრუნველობის სექტორში დახარჯული აუნაზღაურებელი შრომით, სახელმწიფო სუბსიდირებით, დაქირავებით მუშაობით. შინამეურნეობების მცირე ნაწილი კი გამდიდრდა საფინანსო აქტივების ფლობით (ობლიგაციები, აქციები, კერძო პენსიები). ისინი დაემსგავსნენ საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციებსა და ჩამოყალიბდნენ რანტიეს სახით.⁷ ამასთან, ამ შინამეურნეობებში ისეთი შრომა, როგორიცაა სახლში საკვების დამზადება, ოჯახის წევრების მოვლა და სხვ. დაემყარა დაქირავებული და აყვანილი ქალების შრომას (ბავშვის მომვლელი, მზარეულები, დამლაგებლები და სხვ).

გარდა ამისა, საფინანსო ბაზრების ლიბერალიზაციის პარალელურად არ მოხდა შრომის საერთაშორისო ბაზრის ლიბერალიზაცია. გაჩნდა ორმაგი სტანდარტის პრინციპი. ღარიბი ადამიანები იმავე პირობით ვერ ხდებიან მიგრანტები, როგორც მდიდრები. ისინი კვლავინდებურად მჭიდროდ გახდნენ დამოკიდებული თავიანთ ქვეყანაზე. მათი არჩევანი სხვა ქვეყნის შრომის ბაზრებზე არის შეზღუდული და მათთვის სასურველ ქვეყნებში არალეგალურად ცდილობენ შეღწევას. შრომის საერთაშორისო ბაზრის

⁶ Feminist Challenges in a Globalized Economy, Wide Bulletin, October, 2003. p 46

⁷ ეს არგუმენტები მოცემულია დ. ელსონის ნაშრომში: Elson D. Integrating Gender into Government Budgets within a Context of Economic Reform. Gender Budgets Make Cents, Commonwealth Secretariat, Gender Affairs Department, London, 2002.

შეზღუდულობა კიდევ უფრო მეტად ამწვავებს უთანასწორობას და აყენებს საკითხს საერთაშორისო რეგულირების ახალი წესების შემოღების თაობაზე.

- ამდენად, ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარებისა და გლობალური საფინანსო ურთიერთობების გადრმავებასთან ერთად გაიზარდა სოციალური უთანასწორობა, შეიცვალა შინამეურნეობებში დასაქმების სტრუქტურა და ქალების როლიც. ასეთი ცვლილებების მიმართ, განსაკუთრებით დაბალგანვითარებული ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკა მოუმზადებელი აღმოჩნდა და მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დასაქმების ადეკვატური სისტემები არ იქნა შემუშავებული. ამჟამად ეს საკითხი გენდერული ბიუჯეტის შესწავლის საგანი ხდება.

3. საფინანსო-სავალუტო კრიზისების გავლენა სოციალური უთანასწორობის გაღმავებაზე. "ღია ეკონომიკურ სივრცეში" საფინანსო-სავალუტო ურთიერთობების გაფართოებისა და სავაჭრო კავშირების გაზრდის შედეგად ყოველი ქვეყანა გახდა სხვა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების მონაწილე, ხოლო საფინანსო ნაკადებმა კი შექმნეს რეგულირების გართულების საშიშროება. ერთი ქვეყნის წარუმატებლობა ჯაჭვურად იწყებს გავრცელებას მეორე ქვეყანაში. გლობალურმა საფინანსო კრიზისებმა მოიცვა კონტინენტები და ფართოდ გავრცელდა უპირატესად, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში. კრიზისები თავისი შედეგებით გახდა უფრო მკვეთრად გამოხატული და შორსმომავალი არა მარტო ცალკეულ ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში. გლობალური საფინანსო ურთიერთობების გადრმავებასთან ერთად, განსაკუთრებით 90-იანი წლების აზიური საფინანსო-სავალუტო კრიზისების შემდეგ, ახლებურად დაისვა საფინანსო პოლიტიკის საკითხები და მასვე დაუკავშირდა კრიზისის ზემოქმედების შედეგების გენდერული ასპექტით შესწავლის აუცილებლობაც.

90-იან წლების საფინანსო კრიზისების განვითარებამ თავდაპირველად აზიის კონტინენტზე და შემდეგ ევროპის რიგ ქვეყნებში მწვავე ზემოქმედება მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზეც და სირთულეები შეუქმნა მის განვითარებას. რუსეთის საფინანსო კრიზისის ზეგავლენის შედეგად 1998 წელს საქართველოში ადგილი ჰქონდა მწვავე სავალუტო კრიზისს, რომელიც წარიმართა როგორც მექსიკურ-ევროპული, ისე აზიური საფინანსო კრიზისების სცენარით.⁸ რუსეთიდან "დომინოს ეფექტმა" ირიბი ზემოქმედება მოახდინა როგორც საქართველოს, ასევე სხვა პოსტსაბჭოთა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკაზე. კრიზისის შედეგად ვალუტის კურსი მნიშვნელოვნად დაეცა, ფასები გაიზარდა, შემცირდა განვითარების ტემპები, შემცირდა მოსახლეობის შემოსავლები, გაიზარდა უმუშევრობა, სოციალური პროგრამების არაეფექტურობა კი ინფლაციის გადრმავებაზე ახდენდა ზეგავლენას.

2000 წელს თავი იჩინა თურქეთის საბანკო-სავალუტო პრობლემებმა, რომლებმაც აგრეთვე ზეგავლენა მოახდინა საქართველოზე. რამდენადაც საქართველო გლობალური ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია, მისი ბედი დამოკიდებულია მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში მიმდინარე წარმატებულ თუ წარუმატებულ რეფორმებზე, ამიტომ, ბუნებრივია, საქართველოს განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრულია როგორც მეზობელ ქვეყნებთან, ასევე სხვა ქვეყნებთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების მთელი სპექტრით.

⁸ ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. მ. თოქმაზიშვილი. საფინანსო-სავალუტო კრიზისები და საქართველო. თბ., 2004. გვ. 19-38.; აგრეთვე: V. Papava and V. Chocheli. Financial Globalization and Post-Communist Georgia. iNuverse, Inc. New York, Lincoln Shanghai. pp.18-31.

- ამდენად, საფინანსო-სავალუტო კრიზისებმა ზეგავლენა მოახდინა სოციალური უთანასწორობის გაღრმავებაზე და კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი სოციალური პოლიტიკის რეფორმის შესახებ როგორც დაბალგანვითარებულ, ასევე გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში.

4. აუნაზღაურებელი შრომის მნიშვნელობის აღიარება. კრიზისები გავლენას ახდენენ მთელ მოსახლეობაზე, მაგრამ იგი მაინც განსხვავებულად ზემოქმედებს სხვადასხვა სოციალურ ფენებზე, ქალებზე და მამაკაცებზე, მდიდრებზე და ღარიბებზე. კრიზისებს თან სდევს სამუშაოს დაკარგვა, ამის შედეგად იზრდება შინამეურნეობებში აუნაზღაურებელი შრომის ფასი, რადგან სწორედ ასეთი შრომით ხდება დაკარგული ბაზრებიდან შესყიდული სამომხმარებლო საქონლის შემცველი ნატურალური პროდუქტების დამზადება და მომსახურება.⁹ აუნაზღაურებელი შრომა ახდენს საბაზრო ურთიერთობებიდან მიღებული საქონლისა და მომსახურების კომპენსაციას. მის ძირითად ტვირთს კი ქალი ატარებს. მას უხდება შინამეურნეობებში უფრო მეტი დროის ხარჯვა იმაზე, რასაც ისინი ადრე ფასიანი მომსახურების სახით (ბავშვების განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კვება, სხვა საოჯახო საქმეები) იღებდნენ. ამის შედეგი აისახება ქალის სტრესებში და დაავადებებში.

სხვადასხვა ქვეყანაში გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ როდესაც მამაკაცების დასაქმება მცირდება, ქალების დასაქმება პროცენტულად ნაკლებად მცირდება ან კიდევ იგივე რჩება, და პირიქით.¹⁰ უმუშევრობის დროს აუნაზღაურებელი შრომის რაოდენობა ქალებში იზრდება უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცებში. ამდენად, ქალების დასაქმება უფრო მოქნილია და მგრძობიარეა ბაზრის ცვლილებების მიმართ, ვიდრე მამაკაცის. ქალი პროფესიული სამუშაოდან ადვილად გადაერთვება ოჯახურ საქმეებზე, მამაკაცი კი უფრო მჭიდროდ არის "მიბმული" პროფესიულ საქმიანობასთან, ამიტომ სამუშაოს დაკარგვა მასზე უფრო მტკივნეულად მოქმედებს, ვიდრე ქალზე.¹¹ ბაზრის ცვლილების შედეგად მამაკაცისა და ქალის შრომის საშუალო ხანგრძლიობა ერთმანეთის საპირისპიროა იმ შემთხვევაში, როდესაც მამაკაცების დასაქმება მცირდება.

- აუნაზღაურებელი შრომის მნიშვნელობის ზრდა კიდევ უფრო მეტად ავლენს გენდერულ უთანასწორობას და მოითხოვს საზოგადოებისაგან ადეკვატურ რეაგირებას.

5. ქალთა დასაქმება და ალტერნატიული პოლიტიკის როლი საზოგადოების ცნობიერების ცვლილებაში. გენდერული თავისებურებები მკვეთრად რეაგირებენ

⁹ აუნაზღაურებელი შრომის ძირითადად ქალები სწევენ საზოგადოებისა და ეკონომიკის სასარგებლოდ. იგი გულისხმობს რეპროდუქციულ უნარს, ბავშვების აღზრდას, ოჯახის წევრებზე ზრუნვას და სხვ. ასეთი შრომა ზრუნვის ეკონომიკის სფეროს განეკუთვნება და გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ფორმაა მსოფლიოში.

¹⁰ Becker G.S., A Treatise on the Family, Harvard University Press, Cambridge, 1981. Sen A. Gender and Cooperative Conflicts in I. Tinker/ed/ Persistent Inequalities: Women and World Development, New-York. 1995.;

¹¹ საინტერესოა, რომ ამ ფაქტის გამო სამხრეთ კორეაში დაიწყო კამპანია: "ასტიმულირე საკუთარი მეუღლე", რომელიც მოუწოდებდა ქალებს მხარში ამოდგომოდნენ მამაკაცებს, რომლებიც განიცდიდნენ დეპრესიას სამუშაოს დაკარგვის ან გაკოტრების გამო, მაგრამ ანალოგიური კამპანიას ქალების მიმართ არ ჰქონია ადგილი.

შრომის ბაზრის სტრუქტურაზე. შესაბამისად იცვლება ქალისა და მამაკაცის ადგილი საზოგადოებაში.

არსებობს რამდენიმე მოდელი ქალისა და მამაკაცის განსხვავებული შრომითი როლის შესახებ საზოგადოებაში. ერთ-ერთი მოდელის თანახმად, მამაკაცის შრომა არის ოჯახის ფინანსური შემოსავლების მთავარი წყარო, ხოლო ქალისა და ბავშვების საქმიანობა და სიცოცხლისუნარიანობა უზრუნველყოფილია მამაკაცის შემოსავლებით. რეალურად შინამეურნეობები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას ოჯახის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, რომელიც მოიცავს ქალის დაქირავებით შრომას და ოჯახში მის მიერ ოჯახის სხვა წევრების მოვლა-პატრონობას, რაც ფულად ფორმაში არ აისახება და არ ითვლება ანაზღაურებად შრომად.

ქალის ორმაგი დატვირთვა - სახლში შრომა და დაქირავებით შრომა - ჩვეულებრივ არ არის შესამჩნევი. მამაკაცი, როგორც ოჯახის შემოსავლების მთავარი წყარო, არის დამახასიათებელი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისათვის და ბიზნეს-სამყაროსათვის, სადაც ძირითადად დასაქმებული არიან მამაკაცები და მათი შრომა არის კარგად ანაზღაურებადი. ქალებისათვის ძნელია ადაპტირება იმ სამყაროში, სადაც გაგრძელებულია ცნობიერება იმის შესახებ, რომ მამაკაცი არის ოჯახის შემოსავლების მომპოვებელი. ქალის შრომა ამ ცნობიერებაში მეორეხარისხოვან ფუნქციას იძენს. ისინი მამაკაცის კმაყოფილებაზე არიან.¹² ასეთ პირობებში სახელმწიფო მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება უნდა გახდეს ის, თუ როგორ უზრუნველყოს დასაქმების ზრდა, განსაკუთრებით ქალების დასაქმება და იმ სფეროებისათვის ყურადღების მიქცევა, სადაც ქალის შრომა გამოიყენება უპირატესად სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით.

- გენდერული თანასწორობისათვის აუცილებელია არსებობდეს ბალანსი საზოგადოებრივ შრომასა და ოჯახს შორის და მოხდეს ქალის ოჯახში დახარჯული აუნაზღაურებადი შრომის საზოგადოებრივი აღიარება.¹³ ასეთი ბალანსი შესაძლებელია დამყარდეს ფისკალურ სფეროში ქალისა და მამაკაცის განსხვავებული დაბეგვრით, ან სოციალური უზრუნველყოფის სექტორში საპენსიო სქემების მრავალფეროვანი ფორმების დანერგვით, რომელიც დაემყარება ქალის ორმაგი დატვირთვის საზოგადოებრივ შეფასებას.¹⁴ შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება ალტერნატიული საფინანსო პოლიტიკის შემუშავება.

¹² ასეთი პატრიარქალური ცნობიერება არ არის უცხო საქართველოსათვის. თუმცა ბოლო პერიოდში მოხდა ფუნქციების შეცვლა. ხშირად ქალი ხდება ოჯახის მარჩენალი, თუმცა მისი სოციალური სტატუსი მაინც უცვლელი რჩება.

¹³ დღევანდელ პრაქტიკაში ქალის დეკრეტული შევებულების ანაზღაურება მიბმულია მის ხელფასთან, თუმცა ტრანსაქციული დანახარჯი, რომელსაც ქალი გაიღებს მშობიარობის დროს და დეკრეტული ანაზღაურება, სრულიად განსხვავებული სიდიდეებია. თვით ქალებიც კი უთანასწორო მდგომარეობაში არიან, როდესაც მათ ეძლევათ განსხვავებული დეკრეტული ანაზღაურება. საზოგადოებრივი თვალსაზრისით ასეთ მდგომარეობაში ყველა ქალი უნდა ღებულობდეს თანაბარ ავანსს (და არა შედავათს ან დახმარებას) ჯანდაცვაში, კვებაში და სხვა სფეროებში, იმის საფასურად, რომ მათ უხდებოთ ბავშვების გაზრდაზე ზრუნვა.

¹⁴ ასეთი ალტერნატიული პოლიტიკა შემუშავდა კანადაში და მას საფუძვლად დაედო ქალსა და მამაკაცს შორის მდგომარეობისა და ინტერესების განსხვავება. ამ პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა. მათი მიზანი იყო მამაკაცი, როგორც ოჯახის მარჩენალის ორიენტაციიდან გადასულიყვნენ ქალის როლის და უფლებების გაფართოებაზე ბავშვების მოვლაზე, უმუშევრობაზე, მათ დაზღვევაზე და საპენსიო უზრუნველყოფაზე. ამასთან, ალტერნატიული ფედერალური ბიუჯეტის შემუშავებისას დაიგეგმა,

6. სოციალური უთანასწორობის ადგილი მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში. გარდამავალ ქვეყნებში ეკონომიკის ტრანსფორმაციის, ისევე როგორც ფინანსური კრიზისების, სოციალური შედეგები იყო მეტად მძიმე, რადგან არც ერთ სახელმწიფოს არ შეეძლო სოციალური დაცვის ადექვატური ინსტრუმენტების სწრაფად დანერგვა.

დღემდე საკითხი იდგა ასე: მაკროეკონომიკური პოლიტიკა როგორ ზემოქმედებს ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე და სოციალურ ცხოვრებაზე? რა არის ტრანსფორმაციისა და ლიბერალური პოლიტიკის სოციალური შედეგები? ასეთი პოზიციის მიღმა არ იკითხებოდა ის, თუ ვის ინტერესებს ემსახურება პოლიტიკური ინსტრუმენტების არჩევა.¹⁵ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალური თემატიკა მეორადი დეტერმინანტის ფუნქციას ასრულებდა. ამჟამად საკითხი დგას შემდეგნაირად: რა სოციალური შინაარსი აქვს გარდაქმნას და ეკონომიკურ რეფორმებს? იგი ეხება ხელისუფლებისა და საზოგადოების სოციალურ ინტერესებს შორის ბალანსის საკითხს და განსაზღვრავს იმას, თუ რა პოლიტიკური ინსტრუმენტები უნდა იქნეს არჩეული შესაბამისი მიზნების მისაღწევად დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

სიღარიბის დაძლევის ტრადიციული პოზიცია არის შემოსავლების ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე, მაგრამ განათლებასა და ჯანდაცვაში შეუძლებელია ღარიბი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფო ხარჯების ზრდის გარეშე. ეს კი გათვალისწინებული უნდა იქნეს “პირობი ფულის” მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების არჩევაში, რომელიც შესაძლებელია წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს ინფლაციის შემცირებისა და საფინანსო ლიბერალიზაციის პოლიტიკასთან.

- საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ხანგრძლივი პერიოდით უწყვეტი ზრდის მიღწევა ხანმოკლე პერიოდში ზიანს აყენებს დაუცველი სოციალური ფენების ინტერესებს. ამის განეიტრალება დროებითი სოციალური ღონისძიებებისა და დახმარებით ხდება.
- ამასთან, განსაკუთრებით გარდამავალი პერიოდის ქვეყნები, პერიოდულად განიცდიან ხანმოკლე ეკონომიკურ კრიზისებს ან კიდევ გაჭიანურებულ რეცესიას. ამ შემთხვევაში დროებითი სოციალური დაცვის სისტემები არ არის საკმარისი უთანასწორობისა და სიღარიბის შესამცირებლად. შესაბამისად დგება საკითხი პოლიტიკის რეორიენტაციის შესახებ როგორც საფინანსო, ასევე სოციალურ სფეროებში. აღარ არის საკმარისი განისაზღვროს მხოლოდ პოლიტიკის სოციალური შედეგები. ასეთი მიდგომა ტრადიციულია, მაგრამ როგორც დრომ გვიჩვენა, არასაკმარისია, რადგან მეორეხარისხოვან როლს ანიჭებს სოციალური უთანასწორობის პრობლემას, რომელიც განსაკუთრებით დასაქმებისა და შრომის ბაზრის სტრუქტურის ცვლილებებში აისახება.

ამდენად, აუცილებელი ხდება რაციონალური პოლიტიკის შემუშავება, სადაც პრიორიტეტი მიენიჭება საზოგადოებრივი კვლავწარმოების გენდერულ განსხვავებას შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით კონკრეტული სოციალური ფენების ინტერესების დასაცვის მიზნით. ეს კი მოითხოვს

რომ დაფინანსების 70 პროცენტი განხორციელდეს ეკონომიკის ზრდის ხარჯზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი - ფისკალური პოლიტიკის ცვლილების საფუძველზე. ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა გადასახადების ზრდას კორპორაციებისა და მდიდარი ფენების შემოსავლებზე და მის შემცირებას ღარიბი ფენების შემოსავლებზე.

¹⁵ Диана Элсон. Международная финансовая структура: Взгляд из Кухни. Проект для Конференции международной научной ассоциации, Чикаго, Февраль, 2001.

მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალური თანასწორობის თემატიკის პირველად დეტერმინანტად აღიარებას.

- **მაკროეკონომიკური პოლიტიკა იძენს ახალ მიმართულებებს.** თუ მაკროეკონომიკური მართვა დღემდე გულისხმობდა უმუშევრობასთან, ინფლაციასთან, წარმოებასთან და გადასახადებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას, დღეს პოლიტიკის მართვა კიდევ უფრო შორს წავიდა და ამ სტრუქტურაში შევიდა ახალი სეგმენტები, რომელიც დემოკრატიისა და თანასწორობის განვითარების მოტივაციით არის ნაკარნახევი.
- **ცხადია, რომ საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურების შეცვლასთან, ქვეყნების საფინანსო სისტემების დაახლოებასა და მათი პოლიტიკის კოორდინაციასთან ერთად, საჭირო ხდება ფინანსური მექანიზმების დემოკრატიული კონტროლის ქვეშ დაყენება.** ამისათვის აუცილებელია იმაზე ფიქრი, თუ ქალის შრომა როგორ უნდა გამოვიდეს საოჯახო დატვირთვისაგან და მამაკაცის თანასწორად როგორ მოხდეს კერძო და სახელმწიფო ფინანსების განაწილება ქალზეც.

7. სამართლიანობის განხორციელების აუცილებლობა. როგორც გენდერული მენისტრიმინგის მეკლევარები აღნიშნავენ, გენდერული ბიუჯეტი არის სამართლიანი, რადგან იგი მოითხოვს სახელმწიფო ფინანსების განაწილებას თანასწორად. ყველამ უნდა მიიღოს სარგებლობა ბიუჯეტიდან. **მართალია საბიუჯეტო პოლიტიკა შეიძლება იყოს გენდერულად ნეიტრალური, მაგრამ იგი არ უნდა იყოს გენდერულად ბრმა.** მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ შეიძლება გაზარდოს ან შეამციროს გენდერული სხვაობა ეკონომიკური რესურსების განაწილების, ძალაუფლების განაწილების, განათლებისა და ჯანდაცვის სრულყოფითა და დროის გამოყენების რაციონალიზაციის გზით. ამით მან უნდა უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა. ამისათვის საჭიროა ქალისა და კაცის მოთხოვნებისა და მდგომარეობის შესწავლა. გენდერული ანალიზი უნდა იყოს ინტეგრირებული მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში ეთნიკური, სოციალურ-კლასობრივი, დემოგრაფიული, რელიგიური ურთიერთობების და სხვ. თვალსაზრისით.

- ეკონომიკაში ადამიანი არის რაციონალური არსება და მისი როგორც ბაზარზე ორიენტირებული საქმიანობა განისაზღვრება არა იმდენად გენდერული, ეთნიკური, კულტურულ-ისტორიული, სოციალური ან გეოგრაფიული შინაარსით, რამდენადაც რაციონალური ქცევებით, რომელიც ემყარება მათ ყველაზე საუკეთესო არჩევანს გენდერის, კლასის, წლოვანების ან ეთნიკური წარმომავლობის მხედველობაში მიღების გარეშე. სტანდარტული ბიუჯეტი და სახელმწიფო მაკროეკონომიკური პოლიტიკა ამოდის ინდივიდების ბაზარზე ორიენტირებული რაციონალური ქცევებიდან. ყოველი ინდივიდი არის სახელმწიფოს მიერ წარმოებული მომსახურების სუბიექტი. ქალსა და კაცს შორის განსხვავებები არ არის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. ამ თვალსაზრისით მაკროეკონომიკა არის "გენდერულად" ნეიტრალური, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს გენდერულად "ბრმა", რადგან არ შეიძლება არსებობდეს ილუზია იმისა, რომ უთანასწორობა ქალსა და კაცს შორის არსებობს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში. დისკრიმინაციას ადგილი აქვს ყველგან. ამის კარგი მაგალითია შრომის ბაზარი, სადაც ქალი კვლავ უფრო მცირე სახსრებს გამოიმუშავებს, ვიდრე კაცი, იმიტომ, რომ ბაზარზე არსებობს გენდერული სეგრეგაცია, რომელიც გავლენას ახდენს მათი შემოსავლების

დიფერენცირებაზე. ქალი უფრო მეტს მუშაობს ოჯახში, ვიდრე კაცი. სახელმწიფო რესურსები ახდენს ზეგავლენას მათ საქმიანობაზე და ირიბად მოქმედებს კაცისა და ქალის დროის გამოყენებაზე. ამდენად, ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რომ სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ პოლიტიკას და ბიუჯეტს მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეუძლია იქონიოს გენდერულ პერსპექტივაზე და სამართლიანობის დამყარებაზე.

8. ეკონომიკური მიზანშეწონილობა. გენდერული ბიუჯეტის დანერგვას აქვს ეკონომიკური აზრიც. იგი სრულყოფს ეკონომიკურ ცნობიერებას და განამტკიცებს პოლიტიკურ მიზნებს რესურსების ეფექტური განაწილებით.

- საბიუჯეტო პოლიტიკა და სახელმწიფო ფინანსები, როგორც ცნობილია, მიეკუთვნება მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროს.

ეკონომიკა შედგება სახელმწიფო და კერძო სექტორებისაგან. სახელმწიფო სექტორი უზრუნველყოფს ხელისუფლების იმ მიზნების განხორციელებას, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ და საზოგადოებრივ მომსახურებასთან და საზოგადოებრივი საქონლის წარმოებასთან. კერძო სექტორში საქმიანობა კი დაფუძნებულია მოგებასთან და კერძო შემოსავლების ზრდასთან.

გენდერული თვალსაზრისით, მაკროეკონომიკური პოლიტიკა არ არის სრულყოფილი, რადგან აბსტრაგირებას ახდენს შინამეურნეობებში ოჯახის ზრუნვასთან დაკავშირებული შრომისაგან. ასეთ შრომაში უმეტესწილად ქალები არიან ჩაბმულნი ტრადიციულად მათთვის დაკისრებული სოციალური როლის გამო. მათი შრომა სტატისტიკურად არ აღირიცხება. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ მაკროეკონომიკა გაცილებით უფრო ფართო სფეროა, ვიდრე კერძო და სახელმწიფო სექტორები ასახავენ მას. დღემდე ეკონომიკური მეცნიერება არ იკვლევდა შინამეურნეობებში აუნაზღაურებელი ეკონომიკის ბუნებას და სოციალური განსხვავება ქალსა და კაცს შორის მაკროეკონომიკის შესწავლის სფეროს არ წარმოადგენდა. გენდერული მიდგომა ავსებს ამ სიცარიელეს და ანვითარებს ეკონომიკურ ცნობიერებას.¹⁶

- ეკონომიკური პოლიტიკა მოიცავს ორ ანალიტიკურ პროცესს: გენდერული თვალსაზრისით ტრადიციული მაკროეკონომიკური პოლიტიკა განიხილავს, თუ როგორ ზემოქმედებს ქალზე და კაცზე მათი შრომითი საქმიანობა, რომელიც ანაზღაურდება კერძო ან სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან. ასეთი მიდგომა უგულებელყოფს საზოგადოების რეპროდუქციულ ფუნქციას. მეორეს მხრივ, კი მაკროეკონომიკურ გადაწყვეტილებებს აქვს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გენდერის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განსხვავების კვლავწარმოებაზე.

ამის მაგალითია, საგადასახადო პოლიტიკის განსხვავებული ეფექტი საზოგადოებაზე გენდერული თვალთახედვით. საკუთრივ გადასახადის თვალსაზრისით არ არსებობს არავითარი გენდერული განსხვავება, მაგრამ გადასახადის სახეებში უკვე გენდერული განსხვავება თვალნათელია. არაპირდაპირი გადასახადი უპირატესად ზეგავლენას ახდენს ქალზე კაცთან შედარებით, რამდენადაც ქალები არიან შინამეურნეობებში ბიუჯეტის ძირითადი განმკარგავები, მაშინ როდესაც პირდაპირი გადასახადი განიხილება როგორც

¹⁶ Jacobson J. Economic of Gender, Cambridge, 1996. p.7; Shelton Beth Anne, Women, Men and Time, Gender Differences in Paid work, Housework and Leisure, p. 9; Marga Bryun undt, Amsterdam, The Economics Unpaid Work, 1996, p.15.

კაცზე ზემოქმედების ინსტრუმენტი, რადგან უპირატესად კაცები იკავებენ მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს.¹⁷ როდესაც ძვირდება საქონელი და მომსახურება გადასახადების გამო, მაშინ ქალებს ეძლევათ ორგვარი შესაძლებლობა. პირველი, გაზარდონ თავიანთი ანაზღაურებადი სამუშაო დრო. მეორე კი - გაზარდონ ის დრო, რომელიც არ არის ანაზღაურებადი, მაგრამ თავიანთ შინამეურნეობებში აწარმოებენ იმ საგნებს და მომსახურებას, რომელსაც ადრე ისინი ყიდულობდნენ. ორივე შემთხვევაში იზრდება მათი ძალისხმევა. თუ იზრდება ფასები იმ საქონელზე, რომელიც შედის ხანმოკლე მოხმარების საგნების ჯგუფში (კვების პროდუქტები, სამედიცინო მედიკამენტები და სხვ), მაშინ საგადასახადო ტვირთი დიფერენცირებული ხდება სოციალური ჯგუფების მიხედვით და დაბალი შემოსავლების ოჯახები უფრო მეტად განიცდიან ზარალს, რადგან მათ ბიუჯეტში სწორედ ხანმოკლე სამომხმარებლო ხარჯებს აქვთ ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი.

გენდერული განსხვავებები არის სახელმწიფოს პოლიტიკური მიზნების განხორციელების ის პირობა, რომელთა ეფექტური გამოყენებით გაიზრდება ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები. ამ მიზნით, გენდერული ასპექტები უნდა იქნეს გათვალისწინებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიაში, მის საშუალოვადიან და გრძელვადიან გეგმებში, რაც ქვეყანას მისცემს იმის საშუალებას, რომ ქალი და კაცი დასაქმდნენ იმ სფეროებში, სადაც მათი შრომა იქნება ყველაზე მაღალმწარმოებლური და მოგვცემს ყველაზე დიდ უკუგებას.

5. რა მნიშვნელობა აქვს გენდერულ ბიუჯეტს?

გენდერული ბიუჯეტი მნიშვნელოვანია როგორც მთავრობისათვის, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებისათვის. იგი ზრდის მთავრობის პოლიტიკის ეფექტიანობას, ხელს უწყობს დემოკრატიული პროცესების პროგრესს, აძლიერებს ხელისუფლების პასუხისმგებლობას, ამცირებს კორუფციას და ქალების წინააღმდეგ ყველა სახის დისკრიმინაციას, აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებას. სამოქალაქო საზოგადოებისათვის გენდერული ბიუჯეტი ზრდის საზოგადოების ინიციატივას, ინერგება გენდერულად მგრძობიარე მონაცემები კორუფციისა და დისკრიმინაციის წაინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე ღარიბი ფენების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. იგი აძლიერებს საზოგადოებისა და მთავრობის ურთიერთპასუხისმგებლობას.

რა უპირატესობები აქვს გენდერულ ბიუჯეტს?

1. ხელისუფლებას ავალდებულებს შეასრულოს საერთაშორისო კონვენციისა და დეკლარაციის პირობები გენდერული თანასწორობის მისაღწევად;

¹⁷ ეს თვალსაზრისი ეკონომიკურ და სოციალურ ლიტერატურაში დღემდე გამოკვლეულია ძალიან სუსტად და მას სჭირდება შემდგომი შესწავლა. საერთოდ, როგორც საერთაშორისო გამოცდილება მეტყველებს, ბიუჯეტის ანალიზში ყველაზე მეტად პრობლემას ქმნის გენდერულად მგრძობიარე სოციალური და ეკონომიკური სტატისტიკის სიმცირე, არატრანსფარენტულობა და საზოგადოების სუსტი მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში. გენდერულად მგრძობიარე მწიბრი სტატისტიკური მონაცემები აძნელებს მის ანალიზს და ქმნის ინფორმაციულ პრობლემას. იხ. D.Budlender G. Hewitt, Engendering Budgets. A Practitioners Guide to Understanding and Implementing Gender-Responsive Budgets, Commonwealth Secretariat, Gender Section. United Kingdom, 2003, (<http://www/thecommonwealth.org/gender>).

2. განსაზღვრავს იმ სფეროებს, სადაც სახელმწიფო ხარჯები უნდა განაწილდეს კაცისა და ქალის სპეციფიკური ინტერესების სასარგებლოდ;
3. არის გეგმა, რომლის განხორციელების მიზანია სოციალური თანასწორობა;
4. აქვს ტრანსფერენტულობის მაღალი ხარისხი;
5. ბიუჯეტის განხორციელების ყველა სტადიაში (ფორმირება, განხილვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება) მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ფენები;
6. არის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კარგი ინსტრუმენტი;
7. იგი სახელმწიფო პროგრამებს ხდის უფრო ეფექტურს და მოქნილს და ახდენს მათ წარმართვას ბენეფიციარების რეალური მოთხოვნებისაკენ;
8. ემყარება ისეთ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც ავლენს თითოეული გენდერული ჯგუფის როლს და ადგილს საზოგადოებაში;
9. მიზანმიმართულად წარმართავს პროგრამებს სიღარიბისა და სოციალური დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

რა მნიშვნელობა აქვს გენდერულ ბიუჯეტს სახელმწიფოსათვის?

- ზრდის ბიუჯეტის ეფექტიანობას იმ პროგრამების განსაზღვრით, რომელიც უშუალოდ სჭირდება ბენეფიციარებს;
- არის იარაღი იმის გამოსავლენად, თუ რამდენად შემცირდა სოციალურ-ეკონომიკური სხვაობა ქალს და კაცს შორის;
- უზრუნველყოფს ტრანსფერენტულობას, ხელს უწყობს კორუფციის აღმოფხვრას;
- მოითხოვს არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობას და ხელს უწყობს მთავრობის საქმიანობაზე საზოგადოების მეთვალყურეობის გაძლიერებას;
- ხელს უწყობს მთავრობის საქმიანობაზე საზოგადოების მეთვალყურეობის გაძლიერებას, ბიუჯეტის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და კორუფციის აღმოფხვრას;
- მოითხოვს მიზანმიმართული საბიუჯეტო პოლიტიკის წარმართვას როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მმართველობის დონეზე;
- ავლენს ადგილობრივი მმართველობის პრობლემებს და წარმართავს პროგრამებს ადგილობრივი საჭიროებებისათვის;
- ზრდის ბიუჯეტის განკარგვის ეფექტიანობას საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენების მიმართ;
- აუმჯობესებს მონიტორინგს, რადგან უკეთ განსაზღვრავს, თუ ვის უნდა მოხმარდეს სახელმწიფო დახმარებები;
- ზრდის სამოქალაქო საზოგადოების როლს ქვეყნის განვითარებაში და აყალიბებს დემოკრატიული მმართველობის კულტურას;
- გვიჩვენებს პროგრესს ეროვნული და საერთაშორისო გენდერული ვალდებულებების სფეროში.

რა მნიშვნელობა აქვს გენდერულ ბიუჯეტს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის?

- არის ინსტრუმენტი სოციალური დისკრიმინაციის, მმართველობის არაეფექტურობისა და კორუფციის აღმოსაფხვრელად, სოციალური თანასწორობის დასამყარებლად;
- ზრდის საჯარო პირებისა და სახელმწიფო მოხელეების ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე;
- გამოხატავს ყველაზე ღარიბი და დაუცველი ფენების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს სიღარიბის შემცირების პროგრამებისა და ათასწლეულის მიზნებში ასახული სქესთა თანასწორობის განხორციელებას; ზრდის ქალთა ძალაუფლებას.

6. რა არის საჭირო გენდერული ბიუჯეტის დასანერგად?

1. **პოლიტიკური ნება.** გენდერული ბიუჯეტი არის ხანგრძლივი პერიოდის სტრატეგია და ზემოქმედებს მთავრობის პოლიტიკურ პრიორიტეტებზე და გადაწყვეტილებებზე. იგი არ შეიძლება დაინერგოს სწრაფად. მას სჭირდება პოლიტიკური პარტიების ღობი. გენდერულ ბიუჯეტთან დაკავშირებული ინიციატივები მოიცავს ფინანსთა, განათლების, შრომის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების კომპეტენციას, ამიტომ ვერც ერთი პროექტი ვერ განხორციელდება წარმატებით ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გარეშე. როგორც უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე, ასევე მთავრობის ყველა დონეზე გაცხადებული და ნათლად გამოხატული პოლიტიკური ნება არის გენდერული ბიუჯეტის დანერგვისა და სოციალური თანასწორობის მიღწევის ძირითადი გზა.
2. **გაცნობიერება.** გენდერული ბიუჯეტი მით უფრო წარმატებულია, თუ ხელისუფლებისა და საზოგადოების ფართო ფენების მიერ კარგად არის გააზრებული მიზნები და ორიენტირებულია არა რომელიმე გენდერული სეგმენტისათვის მეტი თანხის გამოყოფაზე, არამედ დისკრიმინირებული ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლაზე.
3. **თანამონაწილეობა.** გენდერული ბიუჯეტის შემუშავებაში მონაწილეობს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, სამოქალაქო საზოგადოება, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და სხვა ინსტიტუტები. თანამონაწილეობა გულისხმობს საზოგადოებაში დაიტერესებულ მხარეებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსულტაციებს, კავშირს მთავრობის წარმოდგენლებთან, ექსპერტული ანალიზის ჩატარებას ეკონომიკის, პოლიტიკის, სოციოლოგიური და ფინანსური თვალთახედვით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, საბიუჯეტო პროცესებისა და გენდერის ექსპერტების ფართო მონაწილეობით.
4. **ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის მონაწილეობა.** იმისათვის, რომ ეფექტური იყოს გენდერული მიდგომები, საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლებისა და თემების აქტიური მონაწილეობით განხორციელდეს როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ გაწეული

მომსახურებისა და საჭიროებების ანალიზი, ასევე პოლიტიკური სტრატეგიის მონიტორინგი.

5. **ტრანსფარენტულობა.** გენდერული თანასწორობის პოპულარიზაცია როგორც სამოქალაქო საზოგადოების უჯრედებისათვის, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის ტრენინგების, კონფერენციების, სემინარების მოწოდებითა და ამ საქმიანობაში ჩართული ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების შეხვედრების გზით, კარგი პირობაა გენდერული ბიუჯეტის დასამკვიდრებლად.

გენდერული ბიუჯეტის შემუშავებისას არ არსებობს კონკრეტული რეცეპტი. ყოველი ქვეყანა ამ მიზნისკენ საკუთარ გზას პოულობს. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე ეფექტურია ინიციატივა, რომელიც მოიცავს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგს.

ქალთა ორგანიზაციები, გენდერული ექსპერტები მსოფლიოს დაახლოებით 20 ქვეყანაში აქტიურები არიან გენდერული ბიუჯეტის შექმნაში, მის ანალიზში და იმის გარკვევაში, თუ სახელმწიფო ბიუჯეტი რა ზემოქმედებას ახდენს ქალსა და მამაკაცზე. ეს პროცესები ძირითადად მიმდინარეობს დიალოგის გზით.

მომავალში ყოველი ქვეყნის დემოკრატიული განვითარება შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის მუდმივი დიალოგის გზით. სამოქალაქო საზოგადოება და ხელისუფლება არიან ერთმანეთის ორგანული ნაწილები. სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური ინსტიტუციონალიზაციის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა და სოციალური თანასწორობის დამყარება. სამოქალაქო საზოგადოება მთავრობასთან ერთად უნდა ინაწილებდეს პასუხისმგებლობას ბიუჯეტის შესრულების შესახებ და ახდენდეს მუდმივ მონიტორინგს ამ მეტად მნიშვნელოვან ფინანსურ მექანიზმზე, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებაში. სწორედ ეს პრინციპები უნდა იყოს ჩადებული სოციალურ გარდაქმნებში გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე.

7. როგორი გზინდა რომ იყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი?

საქართველოში დემოკრატიისა და ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელება მოითხოვს ხელისუფლების ყურადღების გამახვილებას გენდერულ საკითხებზე და მასზე ორიენტაციას თავის საქმიანობაში. გენდერული ბიუჯეტის განხორციელება კონკრეტული ნაბიჯი უნდა გახდეს ამ მიზნების მისაღწევად.

საქართველოს სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა ამჟამად არის გენდერულად «ნეიტრალური». სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულებებისა და ხარჯების დაგეგმვა უნდა ითვალისწინებდეს გენდერული პარამეტრებისა და თანამედროვე სოციალური მიდგომების გამოყენებას საბიუჯეტო პროცესებში, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მოთხოვნებისა და ინტერესების განხორციელებას სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკის გზით.

რა შეიძლება აინტერესებდეს საზოგადოებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით და რა არის საჭირო გენდერული ბიუჯეტის დასანერგად?

1. **ეკონომიკური ზრდა.** სამოქალაქო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის განვითარების ანალიზი და მონიტორინგი. იმის შეფასება, თუ სად ხდება გზების გაყვანა - იმ ტერიტორიაზე, რომელიც კომერციულად მომგებიანია, თუ იმ ტერიტორიაზეც, სადაც ყველაზე მაღალი ხარისხის სიღარიბეა. ან კიდევ, რამდენად მოიცავს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების განაწილება საქართველოში ღარიბ რეგიონებსა და სოფლებს? რამდენად საყოველთაო გახდება ინფრასტრუქტურა? რამდენად მიადწევს ღარიბ რეგიონებამდე და სოფლებამდე ინფრასტრუქტურაში წარმოებული მომსახურება? ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია ქალებისათვის ენერგეტიკის წარმოება-მოხმარების სფეროში.¹⁸
2. საზოგადოებას სჭირდება იმის ცოდნა, თუ რა სახის სამუშაო ადგილები შეიქმნება მომავალ წელს და რა გამოიმუშავება და პოზიციები ექნება ქალსა და მამაკაცს ახლად შექმნილ სამუშაო ადგილებზე? როგორ განვითარდება ზრუნვის ეკონომიკა, რომელიც ზღუდავს ქალის საზოგადოებრივ სამუშაო ადგილებზე დასაქმების შესაძლებლობას? საზოგადოებას აინტერესებს, თუ რეალური ეკონომიკის რა სექტორები განვითარდება, ექნებათ მათ გენდერული ხასიათი და თუ დარჩება ისევ ტრადიციული გენდერული სეგრეგაციით?

ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში გაღრმავდა გენდერული სხვაობა, რამდენადაც სახელმწიფო დაფინანსება აბსოლუტურ მაჩვენებლებში მამაკაცების დასაქმების სფეროებში უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ქალების დასაქმების სფეროებში. ამ მდგომარეობის გასანეიტრალებლად მიზანშეწონილია განისაზღვროს ის ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს უპირატესად მამაკაცების დასაქმებაზე სახელმწიფო დანახარჯების კომპენსირებას ქალებისათვის, რაც ძირითადად ქვეყნის საფინანსო პოლიტიკის სოციალურ პროგრამებზე ორიენტაციის გზით უნდა მოხდეს.

3. საზოგადოებას აინტერესებს, თუ რა სამუშაო ადგილებზე ხდება ქალების დასაქმება და ხდება თუ არა მათი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა სათანადოდ იმისათვის, რომ მამაკაცის თანაბრად მიიღონ დაწინაურების შესაძლებლობა. რამდენად გაიზარდა სახელმწიფო სექტორში ქალების სამუშაოზე დასაქმების არეალი?

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები საქართველოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა. ამასთან, რეფორმების პარალელურად ხდება გენდერული სეგრეგაცია, რაც მოითხოვს შრომის ანაზღაურების მოწესრიგებას და სახელმწიფო ინვესტიციების ზრდას ადამიანურ კაპიტალში,

¹⁸ ცნობილია, რომ ენერგორესურსების დეფიციტი ქალებზე უფრო ნეგატიურად მოქმედებს, ვიდრე მამაკაცებზე. ენერგორესურსების მუდმივმა დეფიციტმა განსაკუთრებული ზიანი მიიყენა ქალებს რეგიონებში როგორც ჯამრთელობის, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ენერგოპოლიტიკის წარმართვას მომხმარებელთა ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, ქალთა ჩაბმას ენერგოსექტორის მენეჯმენტის ყველა დონეზე (რაც დღეისათვის საქართველოში ნაკლებად ხდება) დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეტიც, მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ განახლებადი ენერგორესურსების ინიციატივების წახალისება გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას უწყობს ხელს, რადგან განახლებად ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობა ამსუბუქებს ქალის შრომას, შესაბამისად მათ მეტი დრო რჩებათ პროფესიული განვითარებისა და დასვენებისთვის. (J. Klans, Sh. Oparaocha, U.Roer. Gender Equality and Renewable Energies, Thematic Background Paper, Conference Materials. Bonn. 2004; თ. საბუდაშვილი, ნ. დურგლიშვილი. გენდერი და ენერგეტიკა: საქართველოს მაგალითი. „ქორ ინთერნეშენალის“ 2005 წ. თბილისი. გვ. 34).

კერძოდ, ქალების პროფესიული განათლების ასამაღლებლად. ეს მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ოჯახების განვითარებაში.

4. რა გააკეთა ან უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ მიკროკრედიტები გახდეს ხელმისაწვდომი ღარიბი ფენებისათვის, მათ შორის ქალებისთვისაც?¹⁹
5. მართალია, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს ისეთ პროგრამებს, როგორცაა უსაფრთხო დედობის, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ინფექციური და და სოციალურად საშიში დაავადების პროფილაქტიკური პროგრამები, ქალთა მაღალი რისკის მატარებელი ონკოლოგიური დაავადებები, ტუბერკულოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამები, მაგრამ სუბსიდირების არსებული დონე არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ამ მიმართულებით ძალისხმევა მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდეს.²⁰

საქართველოში სოციალური და კერძოდ ჯანდაცვის სფეროს განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მარტო გენდერული და სოციალური თანასწორობის მიღწევის, არამედ სიღარიბის შემცირების თვალსაზრისითაც. მიზანშეწონილია მთავრობამ ორიენტაცია აიღოს ევროკავშირის მხვენებლებთან მიახლოებაზე და დაგეგმოს ისეთი პოლიტიკა, სადაც ჯანდაცვის ხარჯები მთლიან სახელმწიფო დანახარჯებში საშუალოვადიან პერსპექტივაში თანდათანობით გაიზრდება.

6. სოციალური პოლიტიკის სფერო განსაკუთრებით საინტერესოა სამოქალაქო საზოგადოებისათვის იმ თვალსაზრისით, თუ სახელმწიფო პროგრამებს, რომელიც მიმართული იქნება ბავშვებზე და ქალებზე, რა წილი ექნებათ სახელმწიფო ხარჯებში და რამდენად ქმედითი იქნება ისინი სოციალური პირობების გაუმჯობესებაში? რამდენად მოიცავს მან ყველა სოციალურად დაუცველი ბავშვი და რა ეფექტი მოახდინა შინამეურნეობებზე?

სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ დახმევასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები მთლიან დაფინანსებაში შეფარდებითად მცირდება, ამასთან, უკანასკნელ წლებში სიღარიბის მხვენებლები მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა, რაც მოითხოვს სახელმწიფოსაგან აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარებას და ღარიბი ფენების დაცვას.

7. რამდენად ქმედითია სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებები (მათ შორის

¹⁹ ეს ძალიან მტკივნეული თემაა გენდერული თვალსაზრისით. სამეწარმეო განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად ითვლება ქალთა ნაკლები ხელმისაწვდომობა კრედიტებისადმი. ქალებისათვის შედარებით ხელმისაწვდომია მცირე მოცულობის სესხები, მაგრამ სერიოზულ სესხები, რომელიც მოითხოვს საგარანტიოდ საკუთრების უფლების მტკიცებულებას, მამაკაცებისათვის არის მისაღწევი. გარდა ამისა, ქუჩაში და გარე ბაზრობებზე ვაჭრობის აკრძალვამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქალები, რომლებმაც ვერ მოახერხეს კრედიტის გასტუმრება.

²⁰ ურბანული ინსტიტუტის მიერ 2004 წელს განხორციელებული კვლევის შედეგად ქალთა ყველაზე მწვავე პირველ პრობლემად დასახელდა უფასო მკურნალობა, კონსულტაციები, წამლები და მეორე პრობლემა კი იყო უშუქობა, უგაზობა და უწყობა. საკამრისად მწვავე პრობლემებს შორის პირველი იყო მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ყოფნა. (იხ. ქალთა პრობლემები და საჭიროება ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიმართებაში. თბ., 2004 გვ.8-10).

ჯანდაცვაში) და პენსიები ინფლაციის გათვალისწინებით? რამდენად მოიცავს სოციალური სისტემა უმუშევრების გენდერულ სპექტრს?

უსაფრთხოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის პროგრამებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ქალების განათლებამ და ინფორმირების საკითხმა ჯანდაცვის პროფილაქტიკისა და ჯანსაღი კვების მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რადგან ქალები არიან ზრუნვის ეკონომიკაში, ოჯახის უსაფრთხო განვითარებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის გარანტი. ამასთან მიზანშეწონილია გაიზარდოს პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს ზრუნვის ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას.

8. ტრეფიკინგის წინააღმდეგ რა ღონისძიებები არის გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ? რა კეთდება არალეგალური შრომითი მიგრაციის შესამცირებლად?
9. **შემოსავლების პოლიტიკა.** როდესაც, სახელმწიფო ბიუჯეტში დანახარჯები ძირითადად ორიენტირებულია მამაკაცების დასაქმების სფეროების ზრდაზე (თავდაცვა, წესრიგის დაცვა, უსაფრთხოება), შესაბამისად, იბადება კითხვა, თუ რამდენად გაიზრდება შემოსავლები იმ ადამიანებისა, რომელიც ზრუნვის ეკონომიკაში არიან დასაქმებულნი? ასეთი სახის ანალიზი და მონიტორინგი აუცილებელია, იმისათვის, რომ რაციონალური ბალანსი არსებობდეს სოციალურ სფეროსა და სახელმწიფო დაფინანსების სხვა სფეროებს შორის.
10. **ადგილობრივი თვითმმართველობა.** რა ადგილს დაიკავებს ქალი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმებში და რამდენად ქმედითი გახდება მისი მონაწილეობა ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში? ამ მიზნით იქნება თუ არა სახელმწიფოს ხელშეწყობა შესაბამისი კადრების მომზადების საკითხში?
11. **ტრანსფერები.** რამდენად თანასწორად გადანაწილდება სახელმწიფო ტრანსფერები საქართველოს რეგიონებში?
12. **ინფორმაციული ბაზა.** საქართველოს ინფორმაციული ბაზის სრულყოფასთან დაკავშირებით გენდერულად დეტალიზებული მონაცემები ძალზედ მნიშვნელოვანია მონიტორინგისათვის. გენდერულად დანაწევრებული მონაცემები არის საჭირო იმისათვის, რომ ვიცოდეთ, თუ როგორ ნაწილდება სოციალური დახმარებები, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში. საჭიროა ახალი ინდიკატორების შემუშავება.
13. **გამჭვირვალობა.** სამოქალაქო საზოგადოებას აინტერესებს, თუ რას მიიღებენ ისინი ბიუჯეტიდან. მათ უნდა იცოდნენ რეალობა. ამიტომ მთავრობის ანგარიშში მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს ანალიზი გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. გენდერული ბიუჯეტი კი ამის შესაძლებლობას ნამდვილად აადვილებს.

საერთოდ, სახელმწიფომ უნდა შეაფასოს სახელმწიფო ფინანსების ზემოქმედება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებზე იმისათვის, რომ შეისწავლოს თუ სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე, ჯანდაცვაზე და სოციალურ დაცვაზე რამდენად ნაწილდება ღარიბი ფენების სასარგებლოდ და შესაბამისად შეიტანოს ცვლილებები უთანასწორობის შესამცირებლად. ამ მიზნით აუცილებელია:

ა/. შეიქმნას გენდერულად დეტალიზებული სტატისტიკური მონაცემების ბაზა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მონიტორინგისათვის.

ბ/. სახელმწიფო ბიუჯეტისა და პროგრამების გენდერული მონიტორინგი განხორციელდეს როგორც სამთავრობო დონეზე, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაში.

გ/. მთავრობის ანგარიშებში წარმოდგენილი იყოს ანალიზი გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

ყოველივე ამის განსახორციელებლად პარლამენტმა და მთავრობამ სხვა უწყებებთან ერთად, შესაძლებელია ჩამოაყალიბოს ინსტიტუციონალური ეროვნული მექანიზმი (სტრუქტურული ერთეული, ან ექსპერტები მთავრობასა და პარლამენტში) რათა დაიწყოს გენდერული (გენდერულად მგრძობიარე) ბიუჯეტის დანერგვა და გაერკვეს, თუ სოციალური თანასწორობის რა საფეხურზე იმყოფება საქართველო, რამდენად ანხორციელებს იგი ათასწლეულის მიზნებს.

დანართი

1. აუნაზღაურებელი შრომა: საერთაშორისო გამოცდილება

აუნაზღაურებელი შრომის შესახებ კვლევები ძირითადად იწყება 90-იანი წლებიდან. იგი გენდერული მეინსტრიმინგის შეამადგენელი ნაწილი გახდა.²¹

ავსტრალია. დროის გამოყენების შესწავლის საფუძველზე ავსტრალიაში განისაზღვრა იმ აუნაზღაურებელი შრომის მასშტაბები, რომელიც დაკავშირებული იყო შინამეურნეობებში მზრუნველობის განხორციელებასთან. გამოკვლევის შედეგების საფუძველზე შეიცვალა კანონმდებლობა და შემოღებული იქნა ბავშვების მოვლასთან დაკავშირებული მომსახურების სუბსიდირება. პროფესიული განათლების დაფინანსება წარმართა იმ მიზნით, რომ გაზრდილიყო ქალების წილი აუნაზღაურებად სექტორში. ამასთან შემოღებული იქნა საგადასახადო შეღავათები იმ მშობლებზე (ძირითადად ქალებზე), რომლებიც სახლში ზრდიდნენ მცირეწლოვან შვილებს. პარალელურად შესწავლილი იქნა იმ ადამიანების დროის ბიუჯეტი, რომლებიც უვლიდნენ მოხუცებსა და ინვალიდებს. ამის შედეგად განისაზღვრა სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა საგადასახადო შეღავათს იმ ოჯახებზე, სადაც ერთ-ერთი მეუღლე იყო მეორის კმაყოფილებაზე და ზრუნავდა შვილების აღზრდაზე. ასეთი შეღავათით ძირითადად სარგებლობდნენ მამაკაცები.

კანადა. კანადაში 1998 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება ფედერალურ ბიუჯეტში ჩადებულიყო მუხლი, რომლის თანახმად, საგადასახადო კრედიტი უნდა მისცემოდა მათ, ვინც დასაქმებული იყო ზრუნვის ეკონომიკაში და ეწეოდნენ აუნაზღაურებელ შრომას. ეს დადგენილება მიღებული იქნა მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივმა მოძრაობამ სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე შეისწავლა დროის განაწილება და გამოყენება. ამასთან, აქცენტი გაკეთებული იქნა საპენსიო სისტემაზე და ქვეყანაში აიკრძალა მშობლების საპენსიო სქემებში მონაწილეობის შეწყვეტა და პენსიების შემცირება იმ მიზეზით, თუ მათ მოუხდებოდათ მუშაობის თავის დანებება შვილებზე ზრუნვის გამო.

ისრაელი. ისრაელში აქცენტი გაკეთებულია მარტოხელა დედებზე. 2002 წლიდან პარლამენტმა მიიღო ცვლილება, რომელიც ეხებოდა მარტოხელა დედების დახმარებას. მანამდე 7 წლამდე ასაკის ბავშვების მარტოხელა დედებს ეძლეოდათ დახმარება იმ შემთხვევაში, თუ მათი შემოსავალი კანონმდებლობით დადგენილ მინიმუმზე ნაკლები ჰქონდათ. მათ ეძლეოდათ დახმარება მიუხედავად იმისა, მუშაობდნენ ისინი თუ არა. როდესაც ბავშვებს შეუსრულდებოდათ 7 წელი, დედებს უნდა ეზრუნათ იმისათვის, რომ ემოვნათ სამუშაო. დახმარება აძლევდათ მათ შანს ჰქონოდათ არჩევანი - შრომა თუ შვილებზე ზრუნვა. ასეთ პრაქტიკას ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ეს პოლიტიკა გაზრდიდა იმ ქალების რაოდენობას, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, თუმცა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მარტოხელა ქალების 40 პროცენტზე მეტს, რომლებსაც ეძლეოდათ დახმარება, მაინც შრომობდნენ ოჯახის გარეთ მათი ცუდი საარსებო პირობების გამო. 2002 წელს მიღწეული იქნა კომპრომისი პოლიტიკოსებს შორის და მარტოხელა დედებს მიეცათ დახმარება ორ წლამდე შვილების გასაზრდელად. ამით შეფარდებითად გაუარესდა მარტოხელა ქალების მდგომარეობა იმ პერიოდთან შედარებით, როდესაც მათ ეძლეოდათ დახმარება შვიდ წლამდე შვილების გასაზრდელად.

კორეა. კორეაში აღიარებულია აუნაზღაურებელი შრომის ეკონომიკური და მონეტარული მნიშვნელობა. ქვეყანაში შემუშავდა აუნაზღაურებელი "ეკონომიკური

²¹ აქ მოცემული ქვეყნების გამოცდილების შესახებ იხ. Гендерные Бюджеты. Пособие для тренеров. Программа развития ООН. Авторский текст: Дебби Бадлендер. Пер. с Англ. языка, Братислава. 2005, стр. 110-115. აგრეთვე, Bruyn-Hundt Marge. The Economics of Unpaid Works. Amsterdam 1996; Jacobson J. Economic of Gender, Cambridge, 1996.

ექვივალენტის” მოდელი, რომელიც საფუძვლად დაედო შრომის შეფასების ახალ სისტემას, სადაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო აუნაზღაურებელი შრომის სიდიდე. ეს სისტემა მოიცავდა შემდეგ პუნქტებს:

❖ დაზღვევას, სოციალურ უზრუნველყოფას, დაბეგვრას და ქონების განაწილებას განქორწინების შეთხვევაში.

❖ უბედური შემთხვევის გამო ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შრომის ადამიანებისათვის კომპენსაციების სამართლიან განაწილებას. ამასთან, ოჯახის დიასახლისების კომპენსაცია უნდა ყოფილიყო შესაბამისი იმ დიასახლისებისა, რომლებიც ამავე დროს მუშაობდნენ ანაზღაურებად სამუშაოზე.

❖ შინამეურნეობებში კაცების მონაწილეობის სტიმულირებას, რომელიც შესაძლებელია კომპენსირებული ყოფილიყო ქალების დასაქმების ზრდით.

2002 წელს პრეზიდენტმა მისცა დავალება ეროვნულ კომისიას ქალების საქმეში აუნაზღაურებელი შრომის ღირებულების ეროვნული ანგარიშგების სისტემაში ჩართვის შესახებ. ამჟამად ეს კომისია მუშაობს სამი მიმართულებით:

1. დიასახლისების დაზღვევა მათი სახლში შრომის ღირებულების გაანგარიშების საფუძველზე.

2. ოჯახის შენარჩუნების პოლიტიკა (შვილების შენახვა, არასასკოლო და ბავშვთა დაწესებულებების ორგანიზაცია და სხვ)

3. განქორწინების დროს საკუთრების სამართლიანი განაწილება და თანაბარი კომპენსაცია სამუშაოების სახეების მიხედვით.

ნორვეგია. 1992 წელს სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მიღებული იქნა ისეთი ფორმა, როგორცაა ”კრედიტი მზრუნველობისათვის”. ამ ფორმით ხდებოდა იმ დანაკარგის კომპენსირება, რომელსაც ადამიანები ხარჯავდნენ ოჯახის წევრებზე ზრუნვის გამო. ასეთი კრედიტი მიეცემოდათ მათ მხოლოდ 7 წლამდე ბავშვების ზრუნვისა და ოჯახის წევრი მოხუცი და ავადმყოფი ადამიანების მოვლაზე.

ინგლისი. 2002 წელს ფინანსთა სამინისტრომ დაუშვა საგადასახადო კრედიტი ბავშვებზე, რომელთა მშობლების ძირითადი სამუშაოც იყო ბავშვების მოვლა ოჯახში. ასეთი კრედიტი, უპირველეს ყოვლისა, მიეცათ ბავშვების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

2. გენდერული ბიუჯეტის ფორმირების საერთაშორისო გამოცდილება

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში გაიზარდა ინტერესი გენდერული ბიუჯეტის მიმართ²² და ინტენსიურად დაიწყო ბიუჯეტის შედგენა-განხორციელებაში გენდერული ასპექტების გათვალისწინება.²³

გენდერული ბიუჯეტი გახდა ახალი მიდგომა სოციალური თანასწორობის დასამყარებლად. ამჟამად მსოფლიოს დაახლოებით 60-ზე მეტ ქვეყანაში არის დანერგილი გენდერული ბიუჯეტის რომელიმე ფორმა. გენდერული მიმართულება შეიჭრა მრავალი ქვეყნის სამთავრობო პოლიტიკაში.

ავსტრალია/ ავსტრალია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც დაიწყო ასეთ ბიუჯეტის დანერგვა და მას უწოდებდნენ ”ქალის ბიუჯეტს”, სადაც მოცემული იყო

²² Karen Judd (ed.), 2002 Gender Budget Initiatives: Strategies, Concepts and Experiences, new York: UNIFEM

²³ საერთაშორისო გამოცდილების დახასიათებისას გამოყენებულია შემდეგი ნაშრომები: Гендерные Бюджеты. Пособие для тренеров. Программа развития ООН. Авторский текст: Дебби Бадлендер. Пер. с Англ. языка, Братислава. 2005, стр. 27-41: Review of gender budget initiatives. Prepared by Debbie Budlender Community Agency for Social Enquiry (<http://www.unrird.org>); Gender Budgets Make Cents. Understanding gender responsive budgets. Debbie Budlender, Diane Elson, Guy Hewitt and Tanni Mukhopadhyay (<http://www.lib.utah.edu/ereserve/trms/annual/ECON/Knowledge/Berik/cents.pdf>)

იმის შეფასება, თუ ქალს რა სარგებლობა ჰქონდა ან არ ჰქონდა ბიუჯეტისაგან. ასეთი მაჩვენებლები მოიცავდა თითოეული სამინისტროს საქმიანობას.

1980-იანი წლების ქალთა ავსტრალიური ბიუჯეტი მოიცავდა 300 გვერდს. ეს ბიუჯეტი განიხილებოდა როგორც ოფიციალური საბიუჯეტო დოკუმენტი. გენდერული ბიუჯეტს ახასიათებდა სამი თავისებურება: 1. ქალებისათვის დანახარჯის განსაზღვრა ანუ იმ პროგრამების ღირებულების განსაზღვრა, რომელიც უპირატესად ქალებისათვის იყო გამოყოფილი. 2. სახელმწიფო სექტორში დასაქმებისათვის თანასწორი პირობების შექმნა, რომელიც გულისხმობდა როგორც თანაბარი რაოდენობის ქალისა და კაცის მენეჯერულ თანამდებობებზე დასაქმებას, ასევე მათ ხელფასებში სხვაობის შემცირებას. 3. იმ ხარჯების განსაზღვრა, რომელსაც ხელისუფლება გამოიყენებდა იმისათვის, რომ მომავალში მოეხდინა გენდერზე ორიენტირებული ბიუჯეტის სრულყოფა.

ავსტრალიის გამოცდილება შემდგომში გამოყენებული იქნა სხვა ქვეყნების მიერ გენდერული ბიუჯეტის დანერგვისას. ჯერ ინგლისმა და შემდგომ კი აფრიკულმა და აზიურმა ქვეყნებმა დაიწყეს გენდერული ბიუჯეტის შექმნა. ასეთი ბიუჯეტი გახდა ქალების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კარგი იარაღი. ამასთან, გენდერული ბიუჯეტის თვისებებმა – ტრანსფარენტულობამ, მოქნილობამ, ზედამხედველობამ მთავრობის საქმიანობაზე, შესაძლებელი გახადა ასეთი მიდგომები გამოყენებული ყოფილიყო განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც, სადაც მოქალაქეებს მიეცათ საშუალება მიეღოთ ადეკვატური და სრული ინფორმაცია. მოგვიანებით ევროპის ქვეყნებშიც დაინტერესდნენ ასეთი ბიუჯეტის შექმნით.

ამჟამად ავსტრალიის მთავრობა ანხორციელებს მრავალ რეკომენდაციას, ყოველწლიურად იბეჭდება "ქალის ბიუჯეტი". დღემდე მთავრობა დაინტერესებულია ამ სფეროთი.

ევროპა და ევროკავშირის ქვეყნები. ევროკავშირის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მიზნობრივი გენდერული მიდგომა, გენდერული პერსპექტივის დაგეგმვა ქალებისა და მამაკაცებისათვის კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში, ასევე დაგეგმილ მოქმედებათა პროცესის შეფასება. გენდერულ პროექტებს ახასიათებს დიდი მრავალფეროვნება და კვლევისას გამოყენებულია მრავალფეროვანი ხერხები და ინსტრუმენტები. ამ საქმიანობაში ჩართულია ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებიც.

ევროკავშირის ქვეყნებში ქალისა და კაცის თანასწორობა და საფინანსო პოლიტიკასა და ბიუჯეტის შედგენაში გენდერული მენისტრიმინგი დაინერგა ამსტერდამის ხელშეკრულებით და სტრატეგიით გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის შესახებ (1997 წელი).²⁴

2001-2005 წლებში ევროკავშირის ყველა წევრი შეუერთდა ქალების წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კონვენციას (CEDAW) და აიღო ვალდებულება მის განხორციელების შესახებ. ამასთან, ევროკავშირმა გამოსცა რეკომენდაციები, რომელიც მოუწოდებდა მთავრობას შეექმნა ბალანსირებული პოლიტიკა ქალისა და კაცის თანასწორობის მისაღწევად.

2001 წლის ოქტომბერში ბრიუსელში ჩატარდა კონფერენცია გენდერული ბიუჯეტის მეშვეობით ეკონომიკური და ფინანსური მართვის სრულყოფის შესახებ.²⁵ ამ კონფერენციის საბოლოო რეზოლუცია მოუწოდებდა ევროკავშირის ქვეყნებს შეექმნათ თანაბარი უფლებები ქალისა და კაცისათვის, საჯარო გაეხადათ და გაეზარდათ სახელმწიფო ფინანსების ტრანსფარენტულობა. ამასთან, გენდერული ბიუჯეტის როლი სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანობის გაზრდაში იყო ხაზგასმული. ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა დასაქმების ბარიერების განსაზღვრა, მუწარმეობის განვითარება და მიკროკრედიტების ხელმისაწვდომობა.

²⁴ <http://www3.europarl.eu.int/omk/omnsapir.so/>.

²⁵ <http://www.dgdc.be>.

ინგლისში სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივას დაემყარა გენდერული ბიუჯეტი. ქალთა ბიუჯეტის ჯგუფი ჩამოყალიბდა 1989 წელს. ეს ჯგუფი ორიენტირებული იყო ბიუჯეტის შემოსავლების მუხლებზე და აქცენტს აკეთებდა გადასახადებსა და სახელმწიფო დახმარებებზე და არა დანახარჯებზე. ისინი აყენებდნენ ქალთა ეკონომიკური დახმარების პროგრამების გაზრდის მოთხოვნას, რაც ავტომატურად შეამცირებდა ბავშვთა სიღარიბეს. თუმცა ხშირად მათ პროექტებს უპირისპირდებოდა ოჯახში ქალებისა და მამაკაცების ტრადიციული როლის შესახებ პოლიტიკოსების წარმოდგენები, რაც გულისხმობდა იმას, რომ ფული, რომელიც ოჯახში შედის, მის წევრებს შორის ნაწილდება მიზნობრივად მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მისი მიმღები, ამიტომ სახელმწიფო დახმარების გაცემისას არ უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა იმას, თუ ოჯახის რომელი წევრი იხდიდა გადასახადს და ვის სჭირდებოდა ეს დახმარება. შემდგომში ეს წარმოდგენა იქნა დაძლეული და დახმარება მიეცა პირდაპირ ქალს, ვინაიდან ქალებისათვის გადახდილი ფული უფრო მეტად მოხმარდებოდა ოჯახს. სწორედ ამ არგუმენტზე დაყრდნობით 2003 წლიდან ბავშვთა დახმარებები გაიცემოდა უშუალო მზრუნველზე (ეს უკანასკნელი კი უმეტეს შემთხვევაში ქალია) და არა ოჯახის ძირითად დონორზე (უმეტესად მამაკაცზე).

ერთ-ერთი პროექტი წარმატებული გამოდგა იმის შესახებ, რომ განთავისუფლდა გადასახადისაგან ორი მომუშავე მშობლიდან ერთი. მანამდე კი მეუღლე, რომელიც გამოიმუშავებდა ნაკლებს, ეკონომიკურად მიზანშეწონილად არ თვლიდა ემუშავა დაქირავებით.

ავსტრიაში 2001 წელს შეიქმნა ორგანიზაცია "ქალი და ბიუჯეტი", რომელმაც დაიწყო ქვეყანაში გენდერული მიდგომების პროპაგანდა. ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ანგარიში: "ავსტრიის საგადასახადო სისტემა ნამდვილად არის თუ არა გენდერულად ნეიტრალური?", რითაც ავსტრიელებისათვის გახდა ცნობილი, რომ დაბეგურისას შეღავათებით უფრო მეტად სარგებლობენ მამაკაცები, ვიდრე ქალები. 2004 წლიდან ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ხელშეწყობით იქმნება სამუშაო ჯგუფი ჯანდაცვის სამინისტროში გენდერული ბიუჯეტის დასახერხებლად.

ავსტრიაში ამჟამად სახელმწიფო ფინანსების ანალიზი ხდება გენდერული თვალსაზრისით, მთავარი ორიენტირი აღებულია ფისკალურ პოლიტიკაზე. ფინანსთა სამინისტროში იყენებენ კვლევითი ცენტრების გამოკვლევებს.

ნიდერლანდებში დაინერგა საპილოტო პროექტები და განხორციელდა სპეციფიკური გენდერული პრობლემების დაფინანსება. დამუშავდა შეფასების სისტემა, თუ როგორ უნდა მოხდეს ბიუჯეტის შეფასება გენდერული პერსპექტივიდან, რა სახსრები იხარჯებოდა ქალთა ემანსიპაციისთვის და რა ფინანსები იხარჯებოდა კონკრეტულად ქალებისა და მამაკაცებისათვის. 2000 წლის იანვარში მთვრობამ შექმნა უწყებათაშორისი დეპარტამენტი, რომელიც ყველა ძირითად ტენდენციას გენდერული პერსპექტივიდან გაანალიზებდა. დეპარტამენტს ჰყავდა ორი სამუშაო ჯგუფი და რამდენიმე დირექტორი. ერთი ჯგუფი საბიუჯეტო დანახარჯებს განიხილავდა ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების პერსპექტივიდან. 2001 წლებში ჯგუფმა საპილოტო კვლევა ჩაატარა, რათა გამოერკვია ცალკეულ უწყებათა დანახარჯების მართლზომიერება თანაბარი შესაძლებლობების ასპექტით. ეს პროექტი სამ სამინისტროში განხორციელდა: ფინანსთა, სოციალური ურთიერთობებისა და დასაქმების და გარემოს დაცვის, ურბანიზაციის სამინისტროებში. ამ კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ამ სამინისტროებში გაწეული ხარჯები ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნისთვის უწყებათა ბიუჯეტების 0,01-0,06 %-ს წარმოადგენდა.

შვედეთში გენდერული პერსპექტივა ინტეგრირებულია ხანგრძლივადიან პროგრამაში. საპილოტო სფეროებია სოციალური პოლიტიკა, რეგიონალური განვითარება და ტრანსპორტი. ამასთან, ხელისუფლებამ აღიარა, რომ ქალების დასაქმება არ არის თანასწორი მამაკაცების დასაქმებასთან შედარებით და სამეწარმეო საქმიანობაში ისინი არიან შეზღუდულნი, ამიტომ მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა.

რომელიც ხელს შეუწყობდა ქალების სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. ამ პროგრამის თანახმად, ყოველწლიურად ხორციელდება ხელფასების შეფასება და შეასაბამისი თანამდებობის ქალისა და კაცის ხელფასების ერთმანეთთან შედარება. მეწარმეები ვალდებული არიან სამი წლის განმავლობაში გამოასწორონ მდგომარეობა..

საფრანგეთში 2000 წლიდან დაიწყო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი. მათ თავიანთ "Yellow Report"-ში გაანალიზეს ყველა დეპარტამენტისა და სამინისტროს ხარჯები გენდერული ასპექტით. არსებობს ერთიანი სახელმწიფო პროგრამა ქალების მეწარმეობის განვითარების შესახებ.

გერმანიაში გენდერული ბიუჯეტი იწერება ქ. ბერლინში. ადგილობრივი ხელისუფლება ქმნის გრძელვადიან საფინანსო სტრატეგიას. დასახულია გენდერული ბიუჯეტი განხორციელდეს 2006 წლიდან. ამ მიზნით თავდაპირველად იქმნება მონაცემთა ბაზა და ანალიზდება პროექტების ეფექტიანობა, ხოლო შემდეგ კი გამოიყოფა ფინანსური სახსრები, რომელიც თავისი ბუნებით არის დაცული მუხლი. ამაში ჩართულია ყველა დეპარტამენტი და კვლევის ცენტრები.

ბელგიაში სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი ტარდება აკადემიური ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით. საწყის ეტაპზე ხდება კვლევის ინსტრუმენტების ამორჩევა, შემდეგ კი აკადემიური მკვლევარები რეგულარულად ხვდებიან სამინისტროს წარმომადგენლებს შედეგების გასაცნობად და სთავაზობენ ცვლილებების განხორციელებას.

შოტლანდიაში 2000 წელს შემუშავდა "თანასწორობის მიღწევის გეგმა". ამ გეგმაში განხილული იყო ის მეთოდებიც, რომლითაც შეფასდებოდა ბიუჯეტის გავლენა თანასწორობის პრინციპებზე.

საერთაშორისო გამოცდილების პოლიტიკონომია

გენდერული ბიუჯეტის შექმნაში სხვადასხვა ქვეყნის ძალისხმევა განსხვავებული იყო და მათ სხვადასხვა გზით განახორციელეს მისი დანერგვა. ქვეყნების უმრავლესობამ გენდერული ბიუჯეტის დანერგვა დაიწყო თავისი მეთოდოლოგიით, მიზნებისა და მიდგომების ადაპტირებით. ასეთი ინიციატივა წარმოიშვა სამოქალაქო საზოგადოებიდან, პარლამენტიდან, ან მთავრობიდან. მათი მიზანი იყო არა დამატებითი თანხების გამოყოფა ქალებისათვის, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაში სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ტრადიციების ხელშეწყობა და კარგი მმართველობის დანერგვა.

ზოგიერთ ქვეყანაში გენდერული ბიუჯეტი დაკავშირებული იქნა პოლიტიკურ მოძრაობასთან და ძალაუფლების ცვლილებასთან (შოტლანდია). სხვაგან ინიციატორები იყვნენ ან მთავრობა დონორი ქვეყნების ხელშეწყობით, ან სამოქალაქო საზოგადოება, ან კიდევ პარლამენტი. შვეიცარიაში გენდერული ბიუჯეტის ინიციატორები გახდნენ პროფკავშირები და ქალთა ორგანიზაციები, ხოლო ნორვეგიაში მთავრობამ ყველა სამინისტროს საშუალოვადიან პროგრამაში დანერგა გენდერული მიდგომა. იგი აისახა ყოველწლიური ბიუჯეტის დანართში.

ადრეულ სტადიაზე სხვადასხვა ქვეყანაში გენდერული ინიციატივა იყო შეზღუდული ანალიტიკური კვლევით და რეკომენდირებული იყო ერთი ან ორი პოლიტიკის სფეროს არჩევა და მისი გენდერული შეფასება. ანალიზის შედეგები კი წარმოდგენილი იყო ორი მიმართულებით: როგორც ცალკე ბიუჯეტი, როგორცაა ქალის ბიუჯეტი, როგორც ეს იყო ავსტრალიაში, ან კიდევ როგორც ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი, რასაც მაგალითად, საფრანგეთში უწოდებენ "Yellow page". ზოგიერთმა ქვეყანამ უპირატესობა მისცა ქალებისათვის ხარჯების გამოყოფის ანალიზს, ხოლო სხვებმა კი როგორც ქალების, ასევე კაცის ბიუჯეტის ანალიზს. ირლანდიაში სოციალური თანასწორობის ანალიზი შევიდა ეროვნული განვითარების გეგმაში.

ყოველი ქვეყანა, რომელიც იწყებდა გენდერული ბიუჯეტის დანერგვას, აწვდებოდა მეთოდოლოგიური ხასიათის წინააღმდეგობებს. ძირითადი გზა, რომელსაც ადგნენ ქვეყნები, იყო ის, რომ გენდერული კვლევების განხორციელების გზით მოეხდინათ გენდერული ინდიკატორების ინტეგრაცია ბიუჯეტის დაგეგმვის, განხილვის, განხორციელებისა და მონიტორინგის სტადიებზე.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება მეტყველებს, მნიშვნელოვანია, რომ გენდერული ინიციატივა ხორციელდებოდეს კვლევების გზით, სადაც სამოქალაქო საზოგადოებაც იღებს მონაწილეობას, ხოლო მთავრობა კი გამოთქვამს მზადყოფნას დანერგოს ასეთი კვლევის შედეგები. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოების წევრების ტრენინგები მნიშვნელოვანი ელემენტი იყო იმისათვის, რომ ზემოქმედება მოეხდინათ სახელმწიფო ფინანსებზე. ამის შედეგად ხდებოდა გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტის ფორმირება. ასეთი ბიუჯეტი არსებითად არასამთავრობო ორგანიზაციების, კვლევითი ცენტრების, მას-მედიას და იმ სახელმწიფო ინსტიტუტების თანამშრომლობის ერთობლივი შედეგი იყო, რომლებიც აყალიბებდნენ და ანხორციელებდნენ პოლიტიკას.

ქვეყნების უმრავლესობა იყენებდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების დახმარებას. მაგალითად, დანიაში 2002-2006 წლების ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობდნენ ექსპერტები. ინგლისში ქალების ჯგუფი ახდენდა ფინანსთა სამინისტროს სტრატეგიის შეფასებას რეგულარულად და ისინი ხშირად ხვდებოდნენ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს. სამინისტროების წარმომადგენელთა ტრენინგები და კონფერენციები ხელს უწყობდა გენდერული პროექტების დანერგვას. ასევე ხდებოდა პოპულარული და სპეციალური ბეჭდვითი ნაშრომების გამოქვეყნება და პარლამენტარებთან პირდაპირი კონტაქტი.

საერთოდ, არ არსებობს უნივერსალური რეცეპტი, რომელიც გამოადგება ყველა ქვეყანას გენდერული ბიუჯეტის დასანერგად, რადგან განსხვავებულია ქვეყნებში ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობა და განსხვავებულია მათი ეკონომიკა, ხოლო სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები ემსახურება სხვადასხვა მიზანს. ყოველი ქვეყანა თავისი გამოცდილებით უნდა მიდიოდეს გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტის დანერგვის აუცილებლობამდე სოციალური თანასწორობის დამყარების გზაზე.